65

შაბათი, 28 ივლისი 1907 წ.

წელიწადი პირველი — № 164

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვიდ პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

# ისარი

**ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილებით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

### „ისარი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ზვედრ ფულს. პირველ აგვისტოდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც 4 მ. 50 კ. მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მან. და 80 კ. მეტი.

პირველ აგვისტოდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—3 მ. 50 კ. ტფილისს გარედ—4 მ. საზღვარ-გარედ—5 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

კერძო სასწავლებელი პირველ ხარისხისა

(რეალურ-კლასიკური გიმნაზია)

ექვემდებარება საერო განათლების სამინისტროს

ვ. ა. და ვ. ს. ლევანდოვსკებისა.

სასწავლებელი შესდგება სამკლასიან „მოსამზადებელ სკოლისაგან" საბავშვო ბაღით, სამ კლასიან „დასაწყისს სკოლისაგან" და ხუთ კლასიან „საშუალო სკოლისაგან".

✦ პანსიონი ვაჟებისათვის ✦

15 სექტემბრამდე მიიღებიან (განსაზღვრული რიცხვი) ვაჟები და ქალები „მოსამზადებელ სკოლაში".

1. სავალდებულოა პრაქტიკულად შესწავლა ფრანგული, გერმანული და ინგლისურ ენებისა; ვრცლად შესწავლა მათ. და საბუნებ. მეცნიერებათა; ადგილობრივ ენებისა, მუსიკისა და ხელოვნების შესწავლა სავალდებულო არ არის.

2. ბავშვთა გონებისა, ხასიათის და ნების აღზრდა; ინდივიდუალობის განვითარება.

3. ჯანმრთელობის შენახვა და ფიზიკური განვითარება ბავშვებისა: გიმნასტიკა, ატლეტიური სათამაშოები, სპორტი, მუშაობა ინგლისურ და ამერიკულ სკოლების სისტემისამებრ და ექიმების მეთვალყურეობით.

ცნობებისთვის მსურველმა 15 აგვისტომდე უნდა მიმართოს ტეხნიჩესკი ქუჩაზე (დიდი მთავრის ქუჩის მახლობლად), ს. № 4. საქმე დღეებში 9-დან 11 ს. (10—6—6)

სახ. ... შემოვიდა 21/ᲘV-65 № 1

იყიდება

დასანგრევად ორი ორ-სართულიანი სახლი. ორივე სახლი მდებარეობს სახელმწიფო ბანკის ადგილზე ტფილისში, ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩების კუთხეში. ვადა ადგილების გასაწმენდად შენობებისაგან სამი თვეა პირობის შეკვრის დღიდან. შენობების დასათვალიერებლად მსურველმა უნდა მიმართოს მეეზოვეს ბოროდინს, ხოლო პირობების გასაგებად სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების მდივანს დილის 10-დან ნაშუადღევის 1 საათამდე.

დაბეჭდილ კონვერტებით განცხადებების შეტანა შეიძლება 3 აგვისტოს დღის 12 საათამდე. (3—6.—3)

ნამდვილი კახური ღვინო

საწყობი




საქართველოს ბანკის ქუჩაზე

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენი. (100—86)

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—146)

ექიმი

**ვ. ხ. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

**კანისა და ვენერიული.** ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ხუთშაბათსა და შაბათს დილით 9—10 ს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

კბილის ექიმი

**ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

ქუთაისში

ექიმი მაცრიუხოვი.

მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოკისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჰიშკარიდან. (60—ფოს.—54)

ექიმი

**ი. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—96)

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინკაში ასისტენტად ნ მყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (28—228—3)

**თეატრი და ბაღი „ფუნიკულერი"**

კვირას, 29 ივლისს

ზოგიერთ გაჭირვებაში მყოფ არტისტების მიერ გამართული იქნება

**ასეირნო საღამო წარმოდგენით.**

წარმოდგენილი იქნება:

**სიდედრ-მამა**

ვოდევ. 1 მოქ. დ. ჩარკვიანისა.

შემდეგ წარმოდგენისა

**ცეკვა**

ბილეთის ფასი 50 კაპ.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე, დასასრული 11 საათზე.

6 საათიდან დაუკრავს სამხედრო მუსიკა და ზურნა.

გამგე ქ-ნი **დ. ივანიძე**.

ელექტროთერაპიული კაბინეტი

მიხეილ

**გედევანიშვილისა**

გაიხსნება 1 აგვისტოდან. (3—6.—3)

გამოვიდა და იყიდება

**ა. საჯუელისა**

ახალი წიგნი

სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში.

წიგნი ღირს 20 კ. და იყიდება „წ. კ. გამავრც. საზოგადოების" და „Новая Рѣчь"-ის მაღაზ. (0—უ.—14)

**„მთავრობის ნებართვით**

**ხელახლა გაიხსნა**

**მარიობისთვის იარმუკა,**

რომელიც გასულს ორს წელს აღკრძალული იყო. ოფიციალურად იარმუკა გაიხსნება ცამეტს მარიობისთვეს **ხობის** (ზუგდიდის მაზრა) **მონასტრის ეზოში** და დაიხურება ოცს იმ თვესვე". (3—ფ.—1)

გამოვიდა და გადაეცა წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიას გასასყიდად

**არტურ შნიცლერის თხზულება**

**„ფერხული"**

ათი დიალოგი, ავტორის სურათით, თარგმანი **ია ეკალაძე-ცინცაძისა.**

წიგნის ფასი 30 კაპ., ვინც 150 ცალს იყიდის ნაღდ ფულზედ, დაეთმობა 30 პროცენტი, ვინც 100 ცალს—25 პროც., 50 ცალს—20 პრ. ამავე პირობით შეიძლება მიმართონ კიროჩნი ქუჩაზე. ს. ბერძნიშვილს, № 11. (6—6.—4)

## ტფილისი, 28 ივლისი.

ერთი კვირის წინ ჩვენ გვქონდა ბაასი მკითხველებთან შავრაზმელ პარტიათა კრების გამო მოსკოვში. მაშინ აღვნიშნეთ ხმები, რომელიც გაავრცელეს გაზეთებში, კრების დადგენილებათა შესახებ. ახლა შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ხმები სრულიად გამართლდა, რადგან შავრაზმელთა გაზეთებმა სავსებით გამოამჟღავნეს, რა ხდებოდა და რას დაადგნენ კარჩაკეტილ კრებაზე.

მართლაც, „მონარხიულ პარტიების" კრებას დაუდგენია: ენერგიული მონაწილეობა მიიღონ მომავალ არჩევნებში, გაიყვანონ მესამე სათათბიროში მემარჯვენეთა უმრავლესობა და მაშინვე შეადგინონ „უქვეშევრდომილესი შუამდგომლობა" სათათბიროსთვის საკანონმდებლო ფუნქციის წართმევაზე და მის გადაკეთებაზე უბრალო მრჩეველ დაწესებულებად. „მონარხისტებმა" ამჯობინეს „კონსტიტუციის გზითვე" კონსტიტუციის დამარხვა და 17 ოქტომბრის მანიფესტის გაუქმება. შავრაზმელთ იმედი აქვთ, რომ ახალი საარჩევნო კანონი, რომელიც ძალიანა ჰგავს საეროზო არჩევნების კანონს, შეაძლებინებს მათ სათათბიროს ხელში ჩაგდებას, როგორც ერობანი ჩაიგდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ საარჩევნო კანონმაც ვერ უშველა, „ჭეშმარიტი რუსები", როგორც თითონაც ამბობენ, პარლამენტს გარეშეც მოახერხებენ თავის გეგმის აღსრულებას, როგორც მეორე სათათბიროს გარეკა მოახდინეს „სტოლიპის მთავრობის სურვილის წინააღმდეგ".

ვიმეორებთ, რუსეთის საზოგადოებისთვის ახალი არა არის-რა ამ დადგენილებაში: ასეთ გეგმის არსებობა ყველამ ვიცით და თუ აქ შევჩერდით ამაზე, მხოლოდ იმიტომ რომ გავიგოთ, რა პოზიცია უჭირავს თვით მთავრობას და რას ფიქრობს იგი დღეს, როცა კონტრ-რევოლიუციამ ასე მაღლა ასწია თავი და ასე გაბედულად მიდის წინ თავის წადილთა აღსრულების გზაზე. ეს ფრიად საინტერესოა, რადგან მთავრობის გარდაწყვეტილებას შეუძლია ან ჩაშალოს რეაქციის პლანი ან ხელი შეუწყოს მის აღსრულებას; საინტერესოა არა იმიტომ, რომ ამისგან იყოს დამოკიდებული განმათავისუფლებელ მოძრაობის მთელი სვე-ბედი, არამედ იმიტომ რომ გამოირკვეს ახლო მომავალი და ის გზაც, რომელსაც უნდა დაადგეს ხალხი ამ ახლო მომავალში...

რა პოზიციას იჭერს მაშ, მთავრობა, როცა კონტრ-რევოლიუცია ახდილათ აცხადებს, რომ მთავრობის მიერვე შექმნილის პოლიტიკურის მდგომარეობის გამოცვლა უნდა? პირველად ყოვლისა აღსანიშნავია, რომ მთავრობა სდუმს. მისი ორგანო „როსსია" განაგრძობს ბრძოლას კა-დეტებთან, მისი დაწესებულებანი განაგრძობენ ბრძოლას რევოლიუციასთან; ხოლო კონტრ-რევოლიუციის ახდილ განცხადებაზე და მის გამო მწვევ მოქმედებაზე მთავრობა კრინტსაც არა სძრავს; პირიქით, ცდილობს დაარწმუნოს საზოგადოება, რომ კონტრ-რევოლიუცია საშიში არაა 17 ოქტომბრის მანიფესტისა და 1906 წლის ძირითად კანონებისათვისო. კადეტების „რეჩ"-ი ბევრი ეცადა გამოეწვია ამ საგანზე საბაასოდ მინისტრების გაზეთი, მაგრამ „როსსია" არ გაჰყვა. ახლა თვით ზომიერი და კონსერვატიული გაზეთებიც პირდაპირ უყენებენ მთავრობას კითხვას—აპირებს თუ არა შავრაზმელთა ალაგმვას. მინისტრად ნამყოფის ფეოდოროვის კონსერვატიული გაზეთი „სლოვო", აღნიშნავს რა „მონარქისტების" კრებას მოსკოვში, პირდაპირ ეკითხება სტოლიპინის მთავრობას: კონტრ რევოლიუცია საშიშრად მოქმედებს და რაღას უცდითო? „შავრაზმელებიო, განაგრძობს „სლოვო", მოითხოვენ სამინისტროს გადაყენებას; თავიანთ გაზეთებში უშვერის სიტყვებით ლანძღავენ კონსტიტუციის მომხრე მინისტრებს; ახდილათ გჰობენ იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლითაც ჰსურთ სრული პერევოროტი მოახდინონ; 17 ოქტომბრის აქტს პირდაპირ უწოდებენ ბოროტ-მოქმედების სახელს და ნუ-თუ ყველა ეს მოსათმენია და ამის წინააღმდეგ ეხლავ არ უნდა იყოს მიღებული ღონისძიება?" დანარჩენი ზომიერი გაზეთებიც შეშინებულნი ეკითხებიან მთავრობას: გადაწყვეტილია თუ არა 17 ოქტომბრის აქტის გაუქმება? და თუ არა, რაღად უწყობთ ხელს კონტრ-რევოლიუციის ზრდას? 1905 წელს მთავრობა დაიბნა და გულზე ხელდაკრეფილი იდგა, როცა სოციალისტური მოძრაობა ენერგიულად სწარმოებდა პოლიტიკურ მოძრაობის ხარჯზეო; ახლაც იმასვე ვხედავთ: მთავრობა გულზე ხელდაკრეფილი სდგას და უცქერის კონტრ-რევოლიუციის გაძლიერებასაო. ნუ თუ ისევ იმ დროს უცდის, როცა საქმე შორს წავა და იარაღით ჩარევა იქნება საჭიროო?!

მაგრამ მთავრობა ყურს არ ათხოვებს ამ შეკითხვათ და წინანდებურად „მეგობრულ ნეიტრალიტეტით" არის დაკავშირებული შავრაზმელ პარტიებთან... აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება, რომელსაც თავისი სიმპტომატიური მნიშვნელობა აქვს. სუვორინის „ნოვ. ვრ.", რომელიც სამართლიანად ითვლება მაღალ სფერების აზრის გამომთქმელად, წინად ოქტომბრისტებს იცავდა და მათ გამარჯვებისთვის ზრუნავდა; იმავ დროს მენშიკოვი და სხვანიც ან ჰგმობდნენ ან დასცინოდნენ „ჭეშმარიტ რუსებს". ახლა კი „ნოვ. ვრ." გულმოდგინედ ებრძვის თვით ოქტომბრისტებსაც, ხოლო „მონარხისტების" პოზიციას ზოგი თანამშრომლები იწონებენ კიდეც...

ყველა ამ ფაქტებიდან ძნელია გარკვეულის აზრის დასკვნა და მთავრობის ნამდვილ პოზიციის გამორკვევა. შესაძლებელია, სტოლიპინის სამინისტრო მართლა არ ჰფიქრობს კონსტიტუციის გაუქმებას; მაგრამ ის კი ცხადია, რომ უფრო მაღალ სფერებში უკვე მიუღიათ რაღაც გარდაწყვეტილება. იქ დღემდე ითმენდნენ სტოლიპინს და 17 ოქტომბრის აქტს, მაგრამ ახლა, როცა „პლანი მომწიფდა", როცა რეაქციამ ძალები შეიკრიბა, როცა ყველაფერი მზადაა, შეიძლება უკანასკნელ ნაბიჯის გადადგმას ამზადებენ. ეს ნაბიჯი, ალბად, სავსებით ეთანხმება შავრაზმელ პარტიების კრების უკანასკნელ დადგენილებას: სცადონ სრული „coup d'état"-ის მოხდენა სათათბიროსვე საშუალებით და, თუ ვერ გასჭრა, შემდეგ პირდაპირ ძალადობის გზას დაადგნენ. თუ ასეა, მაშინ ახლო მომავალში დიდ ამბებს უნდა მოველოდეთ. შეიძლება მოწამენიც გავხდეთ თვითმპყრობელობის სრულის რესტავრაციისა! ლიბერალურ ბურჟუაზიას ძალიან ეშინია ამისი, მაგრამ სარევოლიუციო პარტიები, ვფიქრობთ, საქმის ასეთს დატრიალებას ამჯობინებენ: დღევანდელ გამოურკვეველ მდგომარეობას ბევრად აჯობებს გამორკვეული და გადაჭრილი გზა. მაშინ დაიწყება განმათავისუფლებელ მოძრაობის ახალი ხანა, რომლის დროსაც მოხდება თვითმპყრობელობის სრული ლიკვიდაცია.

## ახალი ამბავი

✦ **ბრძანება.** ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსმა პოლ. ნეიგაბაუერმა შემდეგი ბრძანება გამოსცა: „ამა წლის პირველ ნახევარში მოკლულ იქმნა 30 მოსამსახურე რკინის გზისა, აქედან 10 უფროსი მოსამსამსახურე და 20 უმცროსი. თუმცა ჩვეულებრივად ასეთ შემთხვევას აწერენ სხვა და სხვა სარევოლიუციო ორგანიზაციას, მაგრამ საბუთი გვაქვს ამ მკვლელობათა უმეტესობა მივაწეროთ იმ პირებს, რომელნიც ვაკანსიის გახსნას ეძებენ. რათა ასეთმა საზიზღარმა საქმეებმა არ გაამართლონ მათი ავტორთა იმედი, საჭიროდ ვცანი რკინის გზასა და მმართველობაში გახსნილი ვაკანსიები დავუთმო არა ადგილობრივ მოსამსახურეთ, არამედ შუა რუსეთიდან გადმოსახლებულ მოსამსახურეთ".

✦ **საიდუმლო სტამბა.** ბაქოში, როგორც „ზ."-ს ატყობინებენ, აღმოუჩენიათ მშვენივრად მოწყობილი საიდუმლო სტამბა. უნახავთ შრიფტი, არალეგალური ლიტერატურის საწყობი, საპასპორტო ბიურო და სხვა. შეუპყრიათ ათი კაცი.

✦ **მკვლელობა.** 26 ივლისს, საღამოს ასე 11 საათზე მე-9 საპოლიციო ნაწილის უბნის ზედამხედველი პოლიციელებით ნიკოლოოზის მოედანზე თავს წასტეხია სამს კაცს და დაუძახნია—შესდექითო. ერთი მათგანი, რომელიც აღმოჩნდა ვლადიმერ ბიბილაური, პოლიციის ცნობით, ამ მოთხოვნილებას არ დამორჩილებია, რის გამოც პოლიციელებს რევოლვერები უსროლიათ და ისე მძიმედ დაუჭრიათ, რომ იგი რამდენისამე საათის შემდეგ მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა. ამავე მოედანზე პოლიციელებმა დააპატიმრეს ორი უცნობი. დაპატიმრებულნი საკამენდანტო სამმართველოში გაგზავნეს. გაჩხრეკის დროს მოკლულს ბიბილაურს რევოლვერი აღმოაჩნდა.

✦ **მწერლის მოკვლისთვის.** ამ დღეებში ტფილისის ნაწილის ბოქაულს შეუკრებია სოფელ შევრეთის მცხოვრებნი და მოუთხოვნია ადგილობრივ მცხოვრებთ არსენ კაცურაშვილი. კაცურაშვილს აბრალებენ თურმე სოფელ ღვევის მწერლის ალექსი ქავთარაძის მოკვლას. ბოქაულს ამასთან უთქვამს, თუ 2 კვირის განმავლობაში არ შეიპყრობთ და არ გადმოგვცემთ კაცურაშვილს, 1000 მანეთით გადაგხდებათო. ჯარიმის შიშით სოფლელებმა აღუთქვეს კაცურაშვილის დაპატიმრება. როგორც ეხლა გვატყობინებენ, კაცურაშვილი მოკლული უნახავთ სოფელ დიდგორის მახლობლად. კაცურაშვილის გვამის გვერდით, მამასახლისის სიტყვით, ჯოხი ყოფილა ჩარჭობილი და ზედ მიმაგრებული ბარათი, რომელზედაც ეწერა თურმე, რომ კაცურაშვილი მოჰკლეს წითელმა რაზმელებმა, რადგან იგი

წითელ რაზმელების სახელით ხალხს ეცემოდა და სძარცავდაო.

✦ **კახეთის რკინის გზის კონცესია.** თავ. ჭავჭავაძეს ხელმეორედ მისცეს ორი წლით კახეთის რკინის გზის კონცესია. ამის გამო მალე მოხდება დაინტერესებულ პირთა კრება, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს, თვითონ შეადგინოს სააქციონერო საზოგადოება გზის გასაყვანად თუ ეს საქმე სხვას დაუთმოს.

✦ **ტფ' გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** სამხედრო წესების მოხსნამდე ვიატსკის გუბერნიაში იგზავნებიან: „კახეთის“ საზოგადოების მუშა, ივანე ქიტაშვილი, რომელსაც აბრალებენ „კახეთ“-ში გაფიცვის მოხდენას; თელავის მაზრის სოფელ ფშაველის მცხოვრებს ალექსანდრე როსტომაშვილს—აბრალებენ სარევოლიუციო ორგანიზაციისთვის გლეხებს შორის ფულის მოგროვებას, პროკლამაციების გავრცელებას, ტერორისტობას და მკვლელობაში მონაწილეობის მიღებას; თიონეთის მაზრელი ადუა ჰინჭარაული—აბრალებენ 7 ივლისს საბუდრის გზაზე მგზავრების გაძარცვას. გიორგი კოჭიშვილს ნება დაერთო სამშობლოში დაბრუნებისა. აეკრძალა ტფ. გუბერნიაში ცხოვრება ივ. პეტროვს. ოცდა ხუთ-ხუთი მანეთით დააჯარიმეს ტფილისელი სახლის პატრონები ირინა სუბოტინისა, სოლომონ ჯანიაშვილი და შერემეტიევისა.

✦ **ახალი სასწორები და გირები.** ტფ. გუბერნატორმა ცირკულიარული მოწერილობანი დაუგზავნა მაზრის უფროსებს და დაავალა, გამოუცხადონ სავაჭრო-სამეურნეო დაწესებულებას, რომ აქამდე ხმარებაში შემოღებული სასწორები და გირები ძალიან ყალბად არის გაკეთებული და ამიერიდან ნამდვილად აღარ ჩაითვლებიან, თუ ზედ სახელმწიფო ბეჭედი არ იქნება დასმული. ამის გამო ვაჭრებმა ძველი სასწორების და გირების ნაცვლად ახლები უნდა შეიძინონ, ან ძველები გადააკეთებინონ და წარუდგინონ შემამოწმებელ პალატას ტფილისში.

✦ **გაფიცვა.** სიონის ქუჩაზე 4 სახელოსნოში გაიფიცა 10-მდე ხელოსანი. მოითხოვეს ჯამაგირის მომატება, 2 კვირით თავისუფლება და სხვა.

✦ **ტყის გაყიდვა.** ქუთაისის გუბერნატორმა კავკასიის უმაღლეს მთავრობას წარუდგინა შუამდგომლობა ფოთის ქალაქის თვითმართველობისა—ნება მიეცეს ქალაქს გაჰყიდოს რკინის გზის სადგურის მახლობლად მდებარე ტყე.

✦ **უბედურების თავიდან აცდენა.** 25 ივლისს საღამოთი გორსა და გრაკალს შუა სადგურ უფლის ციხის „რაზიეზდ“-თან ცოტას გახდა სამგზავრო მატარებელი (№ 10) მეორე მატარებელს არ დაეჯახა და აუარებელი ხალხი არ იმსხვერპლა. მატარებელი შეცდომით იმ ლიანდაგზე გაუშვიათ, რომელზედაც საქონლის მატარებელი იდგა. მემანქანემ მსწრაფლ შეაჩერა მატარებელი და მოსალოდნელი უბედურება თავიდან აიცდინა.

✦ **100,000 მან. მოპარვის გამო.** ტფილისში ჩამოვიდნენ ფოსტა-ტელეგრაფის ინსპექტორი ჟარკოვი და საგანგებო საქმეთა მოხელე სტროგონოვი, რომელთაც მინდობილი აქვთ გამოარკვიონ, თუ სად და როგორ დაიკარგა პეტერბურგიდან ფოსტით გამოგზავნილი 100,000 მანეთი.

✦ **სასიკვდილოდ დაჭრა.** პოლიციის მე 10 ნაწილში ანიევის ქუჩაზე 26 ივლისს, საღამოს 10 საათზედ, ვიღაც შეიარაღებულებმა 2 ტყვიით დასჭრეს ტფილისის სადგურის მეკანტორე ა. ტროიანი, რომელიც რკინის გზის ლაზარეთში გაგზავნეს. დამჭრელნი მიიმალნენ.

✦ გენ.-გუბერნატორისა და საქართველოს ეგზარხოსის ნებართვით დაბრუნდა ტფილისიდან გაძევებული ამაღლების მღ. ი. ჯაში. როგორც გამოირკვა, ჯაში უსაფუძვლოდ დაუსჯიათ. თუმცა ნება მისცეს დაბრუნებისა, მაგრამ მრევლი აღარ მისცეს. მღ. ი. ჯაშს სინიდისათვის უთხოვნია, ან ჩემს მრევლში დამაბრუნეთ, ან გამოძიება დანიშნეთ, რისთვის დავისაჯეო. ამაღლების მრევლიდან 278 კაცს შუამდგომლობა აღუძრავს სასულიერო მთავრობის წინაშე—მღ. ჯაში ისევ ჩვენ დაგვიბრუნეთო.

✦ ტფილისის მაზრის ზოგიერთ სოფლებში ამ ბოლო დროს გახშირებულა ცეცხლის წაკიდება. 24 ივლისს, მაგ., ტფილისის მაზრაში ოთხგან გაჩენილა ცეცხლი. ფიქრობენ, მტრობით უკიდებენ სახლებს ცეცხლს.

✦ ტფილისის საგუბერნიო მთავრობის განკარგულებით, ინჟინერი ანტონოვი დაუნიშნავთ ტფილისის საარჩევნო სიების გამრჩეველ კომისიაში, რის გამოც ანტონოვი გამოსულა რუს ხალხის კავშირის კომიტეტიდან.

✦ 26 ივლისს გრუზოვოი ქუჩაზე საღამოს 9 საათზედ მიმავალ ბორჩალოს მცხოვრებლებს აბას სულეიმან ოღლისა და დავით ტერ-გრიგორიანცს ვიღაც შეიარაღებულმა ოთხჯერ ესროლა რევოლვერი, მაგრამ ააცდინა.

✦ 26 ივლისს რუსკაია ქუჩაზე ელექტრონის ვაგონი № 12 დაეტაკა ტფ. მოქალაქეს აკოფ პეტროსოვს, რომელიც ძალიან დაშავდა. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ ტფ. დედათა პირველ გიმნაზიის დირექტორის ქ-ნ განის ბინიდან ქურდებს გაუტანიათ 1500 მანეთის ნივთები.

✦ 26 ივლისს თუმანოვის ქუჩაზე ტფ. მცხოვრებს გრიგორ ხარხარაშვილს თავს დაეცა სამი კაცი. წაართვეს 30 მან. და მიიმალნენ.

## პატარა ფელეტონი

### სახაზინო კაცუნები.

ამას წინათ ერთ წარჩინებულ მოხელეთ გავეცანი და როცა ვესაუბრებოდი, სწორე მოგახსენოთ,—სიცილს ძლივს ვიკავებდი. ერთობ ახირებულს და ტუტუცურ აზრებს მიზიარებდა ეს უბადრუკი გვამი დღევანდელ მდგომარეობის შესახებ და თვითეულ სიტყვას ისეთის რიხითა და ბრძანებლობის კილოთი ამბობდა, თითქო საკუთარი სიტყვები და აზრები თავის ხელქვეით ჯარის სალდათებად მიაჩნდა და სასტიკ ბრძანებას აძლევდა—ჩემზე მედგარი იერიში მიეტანათ და მთელი ჩემი არსება იმის ფეხ-ქვეშ დაენარცხებინათ.

ღმერთს მადლობა შევწირე იმისათვის, რომ წარჩინებული მოხელეები მხოლოდ უსიტყვოდ მონა-მორჩილ სალდათებზე სარდლობენ და მძლავრობენ, აზროვნების სარბიელზე კი უძლურნი არიან. აქაც რომ ძალა ქონოდათ, ჩვენი ცხოვრების ასპარეზი ხომ იმ-გარდახდილ მანჯურიის აოხრებულ ველებს დაემსგავსებოდა.

დინჯად თუ ჩაუკვირდებით სახელმწიფოს ერთგულ დედა-ბოძების, წელ-წყობილების ბურჯების შინაგან აგებულობას, არ შეიძლება არ დაეთანხმოთ, რომ ამ ვაჟბატონების რიხიან ბუმბერაზობას შუაში ფეხები აბია. წესწყობილების ბურჯი, მღვდელი იქნება იგი, სამხედრო ან საერო მოხელე, სახელმწიფოსაგან გაწვრთნილი და დამზადებული ბუტაფორია. ამიტომ არ უნდა გაგიკვირდეთ ამ სახელმწიფოს ბარტყთა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ—სახაზინო კაცუნათა ტვინის ცარიელობა. ყველამ კარგად ვიცით, როგორ შენდება თვითეული სახაზინო შენობა. იმისი კედლები მხოლოდ გარედან გვანან ნამდვილი შენობის კედლებს, შიგნით კი ყოველნაირ ნაყარ-ნუყარითა და ნაგვით სავსენი არიან. თავის ხელქვეით კაცუნების ტვინსაც ისე აშენებს სახელმწიფო, რომ მხოლოდ გარედან ადამიანის ტვინს ამზგავსებს, შიგნით კი ყოველნაირ ნაყარ-ნუყარითა და ნაგვით ავსებს.

თავის შენობებს ხაზინა გარედან სუფთა და ახოვან სანახაობას აძლევს, რათა ამნაირად მათი შინაგანი სიდამპლე და სიბინძურე დაფაროს. თავის ხელქვეით მღვდლებსა და მოხელეებსაც სახელმწიფო გარედან სუფთად და მოხდენილად ჰმოსავს, ყოველნაირ „ჩინებითა“ და ოქრო-ვერცხლის ზიზილ-პიპილებით ამკობს, რათა ყველა ამით მათი შინაგანი გახრწნილება დაფაროს.

ნუ გიკვირთ იმიტომ, რომ სახელმწიფო კაცუნების მთელი შემოქმედება, მათი სახაზინო ტვინის ნაწარმოები, ყველა მათი პროექტები და განზრახვანი—ფუქსავატ და ფარღალალა შენობას ჰგავს, რომელსაც ერთი შებერვის მეტი არ უნდა, რომ უფსკრულში შთაინთქას. გაიხსენეთ როგორ ახსნა ერთმა ებრაელმა ძველ პალესტინაში ქალაქ იერიქონის კედლების დაქცევა, და აქ საკვირველი არა-რა იქნება თქვენთვის. ხსენებულ ებრაელს ჰკითხეს, თქვენ ეროვნულ ძველ დაბადების წიგნში სწერია, რომ მტრის ლაშქარმა ალყა შემოარტყა ქალაქ იერიქონს და შემდეგი ხერხით აიღო იგი: ლაშქრის წინ გამოიყვანა ყველა მესაყვირე ჯარის კაცი, რომლებმაც თავის გძელ საყვირებით დაჰყვირეს და ამ საყვირების ხმისაგან მთელი იერიქონის კედლები ჩამოინგრა, ჯარი შიგ შეცვივდა და ქალაქი ადვილად აიღოო.

როგორ შეიძლება, რომ საყვირის ხმამ, რაც უნდა გძელი იყოს ეს საყვირი და მძლავრი ხმისა, ქალაქის კედლები დაანგრიოს?—დაუსვეს კითხვა ებრაელს.

— თქვენ დაგავიწყდათ, რომ ქალაქ იერიქონის კედლები ხაზინისაგან იყო აშენებული,—მოკლედ მოუჭრა პასუხი ებრაელმა.

სახელმწიფო კაცუნების ტვინის კედლებიც ჰაწია კრიტიკის საყვირის ხმას იმიტომ ვერ უძლებს, რომ ეს ტვინი ხაზინისაგანაა აშენებული.

**ი. ნაკაშიძე.**

## წერილი სპარსეთის საზღვრიდან.

### სამუშაო და უმუშევარნი ულუხანუმ-ჯულფას რკინის გზაზედ და ჯულფა-თავრიზის გზა-ტკეცილზედ.

უმუშავართა რიცხვი თან და თან იზრდებაო, იწერებიან ყოველ მხრიდან. ამავე დროს ულუხანუმ-ჯულფის რკინის გზისა და განზრახულ ჯულფა-თავრიზის რკინის გზის შესახებ გავრცელებულია სხვა და სხვა ხმა. პირველის შესახებ ამბობენ, რომ სამუშაო კიდევ ბევრიაო; მეორის შესახებ — რკინის გზის ლიანდაგის დაგებას იწყებენო, მინდა ვაცნობო უადგილოდ დარჩენილებს, რომ ორივე ამბავი ტყუილია: ულუხანუმ-ჯულფის გზაზე არ არის იმდენი სამუშაო, რომ ახლად მოსულმა იშოვოს საქმე. მომეტებული რიცხვი მუშებისა ამ გზაზე გულ-ხელ დაკრეფილნი სხედან და ელიან, რომელი მოიჯარადრე დაუძახებს და მისცემს ერთისა ან ორი დღის საქმეს. სამუშაო ძნელია, დღიური საფასი-კი მცირე. იქ, სადაც ისეთი ქარი ჰქრის, რომ ქვიშა-მიწას თვალებში აყრის და დღეში 13—14 საათს ამუშავებენ 3 საათის [illegible], ქირა 60—70 კაპეიკია. [illegible] ჯულფი, სადაც ხორცი გირვ. 15 კაპ., პური 5 კაპ. [illegible] დღე 20 კაპ., [illegible] გირვ. 4 კაპ. ყველი, როცა იშოვება, გირვ. 24 კაპ. უხეიროა. ამ სიძვირესთან ქირა 60-70 კაპ. დღეში! თვით ამ სტრიქონების დამწერს მქონდა დღეში 60 კაპ. სიცხე დიდია და ციებ-ცხელებით ავადმყოფობა ხშირი.

ამ გზაზე მოდებულია სპარსეთიდან გადმოსული თათრობა და ქირასაც ესინ ამცირებენ. საზოგადოდ ულუხანუმ-ჯულფის რკინის გზაზე და ჯულფა-თავრიზის გზა-ტკეცილზედ ძალიან გეზად უყურებენ სამუშაოს მიმცემნი ქართველობას, რასაკვირველია, ამას თავისი მიზეზები აქვს წარსულში. ეს გზა მაშინ შენდებოდა და როცა მოძრაობა გაძლიერდა და გაფიცვები გახშირდა; მაშინ აქტიური მონაწილეობა ყველა ამაში და მოთავეობა ქართველებს რგებიათ. ამას ზედ ის შედეგი დაემატა, რაც მოჰყვა რეაქციას და რომელიც გამოიხატება მორჩილების ნიშნებში: დროზედ ქუდის მოხდა კრძალვით უფროსთან საუბარი, მადლობის გადახდა უფროსისაგან ლანძღვა-გინებისათვის, თავის დროს უფროსის მოწიწებით შეგებება, როცა იგი სამუშაოს დასახედად მიბრძანდება, რასაც ტელეფონით ყველგან [illegible] ნობებენ,—ყველა ეს გარეგანი ნიშნები მოითხოვება სულის დასამონავებლად, და სწორედ ამას ვერ შესთვისებია მომეტებულად ქართველი და იმასთან ერთად ოსი. ამ ულუხანუმ-ჯულფის რკინის გზაზედ ოსები ბევრით მეტნი არიან ქართველებზედ. ბუფეტები კი თითქმის ყველგან ქართველების ხელშია, თუმცა ჯერ რიგიანი ვაჭრობა არავისა აქვს. გასაკვირია ჩვეულება ბუფეტის იჯარით გაცემისა. იღებს იჯარით ის, ვისაც არ უნდა და არც შეუძლიან შრომა, აძლევს იჯარითვე მშრომელს, რომელიც დღე და ღამ შრომობს და ნაშრომი-კი სხვას მიაქვს. ერთი თვე არ არის, რაც ჯულფში გაიხსნა ბუფეტი, აუღია პირველ მოიჯარადრისაგან ი. ცეცხლაძეს, თვეში 90 მან. იჯარა უნდა აძლიოს. დარწმუნებული ვარ, იგი ამაზე მეტს ერთ გროშსაც ვერ მოიგებს. ცოლ-ქმარნი დღე და ღამ მუშაობენ და ბოლოს იქნება საკუთარი ხაბაკიც იქ დაჰყარონ.

რაც შეეხება ჯულფა-თავრიზს შუა განზრახულ რკინის გზას, ჯერ-ჯერობით ყინულზეა დაწერილი. ბევრი, ძალიან ბევრი დამაბრკოლებელი პირობებია...

## ფელეტონი

### კამათი ეროვნულ საკითხის შესახებ ბრიუნის კონგრესზე

(შემდეგი *)

იქნება გვკითხოს ვინმემ, რა საქმე აქვს ინტერნაციონალურ სოც.-დემოკრატიას ეროვნულ ანტოგონიზმთან; ეროვნული შუღლი არსებობს მხოლოდ სხვა და სხვა ერთა ბურჟუაზიის შორის და სრულიად არ ეხება პროლეტარიატს; გერმანელ, პოლონელ, და სხვა ერთა მუშებს ერთმანეთთან საჩხუბარი არაფერი აქვთ; პირიქით, პროლეტარიატისთვის უფრო კარგია, რომ სხვა და სხვა ბურჟუაზიული პარტიები გაშმაგებით ებრძვიან ერთმანეთსაო. მაგრამ საქმე ნამდვილად ასე არ არის. ჩვენ გულ-ხელ-დაკრეფილებმა არ უნდა ვუყუროთ ამ ბრძოლას, ვინაიდან ბურჟუაზიის ეროვნულ ბრძოლაში ყველაზე მეტად პროლეტარიატი იჭყლიტება. უკანასკნელ $2^1/_2$ წლის განმავლობაში, როცა ეროვნული ბრძოლა უფრო უარესად გამწვავდა, სოც.-დემოკრატიის დეპუტატებმა ვერ გაიყვანეს ვერც ერთი მეტად საჭირო და საჩქარო სამუშაო კანონი. ეს ერთი ფაქტიც ცხადად ამტკიცებს, რომ ჩვენთვის და მხოლოდ ჩვენთვის მეტის მეტად საჭიროა ეროვნულ საკითხის გადაწყვეტა და ჩვენც უეჭველად უნდა გადავწყვიტოთ იგი. ჩვენ ვერც იმას ვიტყვით, რომ მუშებს სრულიად არ ჰქონდეთ გრძნობა ავსტრიის პატრიოტიზმისა.

მთავრობამ, რასაკვირველია, ჯერ კიდევ 1848 წლიდან ხელი შეუწყო ამ გრძნობის აღმოფხვრას პროლეტარიატის გულიდან და თუ წვეთი მაინც დარჩა ამ გრძნობისა, იგი თოფით გაჰფანტეს ფალკენაუსა, ოსტრაუსა, ნიურშანსა და გრასლიცში. ჩვენ რომ გულით გვინდოდეს თანამედროვე ავსტრიის დაშლა, ვიტყოდით: „დაე საქმე ისე წავიდეს, როგორც მიდის“. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მიუხედავად ათას უტოპიურ ოცნებისა მაინც ერთად მოგვიხდება ცხოვრება ავსტრიაში. ამიტომ მეტი არ იქნება, რომ თანამედროვე მდგომარეობას გასავალი გზა გავუკაფოთ და, ერთი მხრით, თავიდან ავიცილოთ ავსტრიის სრული ეკონომიური განადგურება და როგორმე ერთად ვაცხოვროთ მშვიდობიანად სხვა და სხვა ერები და, მეორე მხრით, მივცეთ პროლეტარიატის მოთხოვნილებას ის ძალა და გავლენა, რომელიც საჭიროა იმის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. სწორედ პროლეტარიატის ინტერესი არის ის ძალა, რომელიც გვაიძულებს ეროვნულ პრობლემის გადაწყვეტას. ავსტრიის სოც.-დემოკრატია დიდ ცოდვას ჩაიდენს, თუ მან ამ საკითხს ხელი არ ჩაჰკიდა და როგორმე არ გადასწყვიტა.

ეროვნულ საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ დემოკრატიულად შეიძლება. ეროვნულ ანტაგონიზმის ჩასაქრობად და თანამედროვე ეროვნულ შუღლის გარეშე მიზეზების მოსასპობად უწინარეს ყოვლისა საჭიროა მიეცეს ყოველ ეროვნებას დამოუკიდებლობა ეროვნულ თვითმმართველობაში და ამ რიგად მიეცეს მათ გზა თავისუფალ განვითარებისა.

ეროვნული საკითხი უმთავრესად არის საკითხი კულტურისა და არა მართვა-გამგეობისა. შეერთებულ აღმასრულებელ კომისიის ძიერ შემოტანილ რეზოლიუციის თანახმად ეროვნებას უნდა მიეცეს სრული უფლება თვითგამორკვევისა; **ავსტრია უნდა დაიყოს ეროვნულ ოლქებად, რომელნიც ავტონომიურად გადასწყვეტენ თავიანთ ეროვნულ საქმეებს.** მაგრამ ავტონომიური ოლქი თვითგამორკვევის ყველა საქმეს ვერ გადასწყვეტავს სრულიად დამოუკიდებლად. ზოგიერთი საკითხი შემდეგშიაც შეერთებულ ძალით გადაწყდება. ამისთანა საკითხი ავსტრიაში მრავალია. ეხლა რომ სკოლისა ან უნივერსიტეტის გახსნას დააპირებენ, საკითხი ასეთ კულტურულ დაწესებულებისა ხდება საგნად ვაჭრობისა მთავრობისა და სხვა და სხვა პარტიათა შორის. როცა საკითხი სკოლის გახსნის შესახებ და ზრუნვა ხელოვნება-მეცნიერებაზე ჩამოეცლება სახელმწიფოს და გადაეცემა ეროვნებას, მაშინ მეცნიერებაც და ხელოვნებაც კულტურულ საგნებად გადაიქცევიან. ავტონომიურ-ეროვნულ ოლქების დაარსება ბევრჯელ მოსპობს ეროვნულ შუღლის მიზეზს. ასეთი რეფორმის მოხდენა შეიძლება მხოლოდ სავსებით დემოკრატიულ საფუძველზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ეროვნებას კი არ მოუტანენ სარგებლობას, არამედ იმ საზოგადოებრივ ჯგუფებს, რომელთაც ეროვნულ ოლქებში ყველაზე მეტი გავლენა ექნებათ და ისევ იმ დღეში ჩავვარდებოდით, რა დღეშიაც ეხლა ვიმყოფებით. ასეთ რეფორმას არ შეუძლიან ავსტრიის მთლიანობის დარღვევა. ავსტრიას უნდა განაგებდეს ისეთი პარლამენტი, სადაც იქნება ყველა ეროვნების წარმომადგენელი, საყოველთაო კენჭის ყრით არჩეული.

შეერთებულ კომისიის რეზოლიუცია თხოულობს ზრუნვას, რომ ყველა ერის „ეროვნული თავისებურება“ განვითარდეს. აქ იგულისხმება მხოლოდ ეროვნების თავისებურება კულტურულ განვითარებისა, ეროვნული და კულტურული განვითარება ჩვენც იმდენადვე გვაინტერესებს, რამდენადაც ბურჟუაზიას; ჩვენ გვაინტერესებს განვითარება ლიტერატურისა, ხელოვნებისა, პოეზიისა, მეცნიერებისა. გერმანელ მუშას სურს, რომ განვითარდეს გერმანული ლიტერატურა, რომელიც მას უფრო უკეთ ესმის, ვიდრე სხვა ერის ლიტერატურა. თუ თითო ეროვნებას უზრუნველყოფილი ექნება იმის უფლება, რომ თავისუფლად განავითაროს ეროვნული თავისებურება, მოიგებენ ყველა ერები. ჩვენ ეს იმდენადვე უნდა გვაინტერესებდეს, რამდენადაც გვაინტერესებს ჩვენი ქონებრივი მოთხოვნილებანი. სრული დემოკრატიზაცია ჩვენ ისე კი არ გვესმის, რომ თითო ეროვნულ ავტონომიურ ოლქს ექნება საკუთარი პაწაწინა საკანონმდებლო ორგანო, არამედ ისე, რომ ეროვნებას მიეცემა უფლება საკუთარ მოხელეთა და მოსამართლეთა არჩევისა.

ავსტრიაში მოიპოვებიან რომელიმე ერთა ერით დასახლებული ოლქები, მაგრამ არიან ისეთი ოლქებიც, სადაც რამდენიმე ეროვნება ცხოვრობს. ასეთ ოლქებში უმცირესობა უნდა დაცულ იქმნას და იმათაც მიეცეთ საშუალება ეროვნულ განვითარებისა. ერთა შორის ბრძოლის მიზეზთა შესამცირებლად საჭიროა გარკვევით იყოს აღნიშნული კანონით ის საზღვარი, სადამდისაც შეუძლიან განვითარება ეროვნულ უმცირესობას, ე. ი. საჭიროა დაედოს საზღვარი ეროვნულ უმრავლესობის გავლენასაც. ჩვენ რომ ეროვნულ უმცირესობას მფარველობა არ გავუწიოთ, ამით ეროვნულ ბრძოლას ახალ საკვებს მივცემთ და ვერც როდისმე მივაღწევთ ეროვნულ მშვიდობიანობას.

რეზოლიუციის მეხუთე მუხლი უარჰყოფს სახელმწიფოებრივ ენას, მაგრამ რადგან გერმანული ენა საერთო ენაა, ამიტომ ის აღიარებს ამ ენას, სანამ სხვა არ გამოჩნდება. ეს უფრო ნეგატიური მოთხოვნაა, ვიდრე პოზიტიური. ამით ჩვენ გვსურს ნათლად გამოვთქვათ, რომ ავსტრიის არც ერთ ენას არ ვაძლევთ უპირატესობას, მაგრამ მეორე მხრით არც სინამდვილეს ვარიდებთ თვალს. მართალია, ჩვენ ვთხოულობთ, რომ აღიარებულ იქმნას საერთო ენად გერმანული ენა (ვიმეორებ, სანამ სხვა ენა არ გამოჩენილა), მაგრამ ვთხოულობთ იმიტომ, რომ გერმანული ენა ყველაზე მეტად არის გავრცელებული და ავსტრიის სხვა და სხვა ერები ამ ენაზე უფრო ადვილად მორიგდებიან, ვიდრე სხვა ენაზე.

ავსტრიის სოც. დემოკრატია მოვალეა აღმოაჩინოს და განახორციელოს თავისი გადაწყვეტა ეროვნულ საკითხისა და შესწიროს მას მთელი თავისი საავიტაციო ძალ-ღონე.

სიტყვა ეკუთვნის პრაგის დელეგატს **ნემეცს**, რომელიც ჩეხურად ლაპარაკობს. „დღიურ წეს-რიგში ყველაზე მნიშვნელოვანი ის საგანია, რომელზედაც ეხლა ვლაპარაკობთ, რადგან ჩვენ წინდაწინვე ვარკვევთ იმ გზას, რომელზედაც ერთად მოგვინდება სიარული. ჩვენ შორის ბევრია ისეთი,—და უფრო კი ჩეხთა შორის—რომელნიც აცხადებენ, რომ ჩვენი თვალსაზრისი ეროვნულ საკითხზე უკვე გამორკვეულია გაინფელდის პროგრამაში, რომ იქ იმდენად არის გადაწყვეტილი ეროვნული საკითხი, რამდენადაც ეს საჭიროა ჩვენთვის და რომ ჩვენ არ შეგვფერის ბურჟუაზიისთვის ზრუნვაო. ასეთ

*) იხ. „ისარი“ № 162.

ამასთან დაბეჯითებით ამბობენ, რომ თავრიზსა და კაზვილ შუა გზის კეთებას შეუდგებიანო. ეს გზა ძალიან საჭიროა, რადგან თავრიზიდან თეირანისაკენ არ არის გზა ეტლისა და თავრიზიდან თეირანს, ან თეირანიდან თავრიზს მიმავალი მგზავრი იძულებულია თავრიზიდან ჯერ ბაქოში ამოვიდეს, რისთვისაც უნდა გაიაროს ტყუილ უბრალოდ სპარსეთის სამი და რუსეთის ოთხი გუბერნია. ასევე უნდა მოიქცეს თეირანიდან თავრიზს მომავალი. ამიტომ მოსალოდნელია, რომ კაზვილის და თავრიზ შუა გზის კეთებას შეუდგებიან ივნისიდან. მაშინ ბევრი სამუშაო იქნება და გზის გაყვანისთვის მიწის მუშაობის მცოდნენი საჭირონი იქნებიან. შავ საქმეს-კი ადგილობრივი მცხოვრებნი არავის დაანებებენ.

ორდუბადის გადასწვრივ სპარსეთის მაა-გორიან ადგილას დაიწყო მადნის მუშაობა. მცოდნენი საჭირონი იყვნენ. იქ წავიდნენ რამდენიმე თვე უმუშაოდ დარჩენილნი ქართველნი, ხუანი. მალე ამბავი მოიტანეს ჯულფში, რომ ყველას ყელები დასჭრეს თათრებმა, არ მიუშვეს იქამდისაო, მაგრა, როგორც შევკრიბე ნამდვილი ცნობები, აღმოჩნდა, რომ თათრები დიდ წინააღმდეგობას უწევენ უცხო მუშებს, რაც უფრო ყველაზედ ძნელია, შორიახლო სოფლელებს უკრძალავენ პურის გაყიდვას ქართველებზედ. რასაკვირველია, ექნებოდათ ამის გამო თათრებთან შეტაკება, ხოლო ჯერ-ჯერობით ცოცხლები არიან. ამით ის მინდა ვაუწყო მკითხველს, რომ შავ სამუშაოს შოვნა უფრო გაძნელებულია სპარსეთის საზღვრებში და იმის ახლომახლო, რადგან ათი-ათასობით მშიერ-ტიტველი ადგილობრივი მცხოვრები მზადაა იმუშაოს ლუკმა პურისათვის, მარტო თავის გამოსაკვებად, თუმცა მათი მუშაობა უბარაქოა და ერთ ქართველ მუშის ოდენას სამი ვერ შესძლებს. ამასთან ესენი დიდად მიუხვედრელნი და ძნელად ჩასაგდებნი არიან სამუშაო კალაპოტში.

ვინც გაიგონოს გავრცელებული ამბავი ულუხანუმის და თავრიზის გზების სამუშაოზედ, ნუ დაიჯერებს. ყარსისა და ერევნის გზებზე მცირე სარემონტო სამუშაო მუდამ არის და საკმაო მუშებიც არიან. სამაგიეროდ სად. კაპადრანს აქეთ, ზამბაგის ხეობაში, იასე მეხუზლას გაუმართავს ოთხი კარიერი ქვის სამტვრევი, სადაც ამზადებენ ქუჩაში დასაგებ ქვებს. აქ მუშაობა საზოგადოდ კახელებისათვის ხელსაყრელია და გასაძლისი. თუ მოთხოვნილება ქვისა გამრავლდა, აქ დიდი მუშაობა გაჩაღდება და საჭირო იქნება მრავალი მუშა. ქირაც კარგია და სამუშაოს პირობებიც. ჯერ-ჯერობით მცირე რიცხვი იმ უმუშევართა, რომელთაც იციან ქვის ხელი, იშოვის იქ სამუშაოს. იმედია, რომ მოთხოვნილება გაიზრდება და მრავალი უმუშევარი იშოვის საქმეს.

**ნადიკვრელი.**

# პროვინციის ცხოვრება

**სოფ. მაღარო** (სიღნაღის მაზრა). თვითნებობას ჩვენსკენ ბოლო არ ედება. ასე იქცევა, მაგალითად, ბოქაული თავ. ვახნაძე. 9 ივლისს მაღარელი რამაზ მირზაშვილი სოფ. ბოდბეში წასულიყო თავის დასთან და საღამოს ჟამს დუქნების წინ მდგარა ხალხთან ერთად. ამ დროს მახხაანიდან სიღნაღს მიდიოდა თურმე შეზარხოშებული ბოქაული ვახნაძე რამდენისამე სტრაჟნიკით. ზემოხსენებულ დუქნებთან რომ მივიდნენ, ღვინო მოითხოვეს და აქაც დაიწყეს სმა. იქვე მახლობელ მეზობლიდან „მუზიკაც“ გამოატანინეს... კარგად რომ იქეიფეს, ათვალიერ-ჩაათვალიერეს იქ მყოფი კაცები და სწორედ მაღარელი მირზაშვილი ამოიღო ნიშანში. ჰკითხა: „ვინა ხარო“. „მე, შენი კვნესამე, მაღარელი გახლავარო“, მიუგო. თუმცა არაფერი დანაშაული არ მიუძღოდა, მაგრამ მაინც უბძანა გაეკრათ ხელები და წაეყვანათ სიღნაღში. ისიც თან დაატანა, რომ წესიერების დამცველთ გზა-გზა არ მოეკლათ მარახი, ვიდრე დანიშნულ ადგილამდე მიიყვანდნენ. გაკრული გლეხი ცემა-ტყეპით გაუყენეს გზას. მაღაროში რომ ავიდნენ, მთლიანი ეკლესიის მახლობლად, ბოქაულმა მოინდომა თავის თავის გამოჩენა:—შეუძლიან თუ არა გაბაწრული კაცი უცებრად წუთი-სოფელს გამოასალმოს. „ტუვე“ მიაკვრევინა ტელეგრაფის ბოძზე და სტრაჟნიკებს უბრძანა ესროლნათ. მაგრამ რადგან სტრაჟნიკები მიმხვდარი იყვნენ, რომ ბატონი ბოქაული მხოლოდ „რეპეტიციას“ გადიოდა და მირზაშვილს არაფერი დანაშაული მიუძღოდა, თოფის ტუჩები დაცალეს. ბოქაულმა ახლა ხმალი იძრო და თავის მოკვეთა მოინდომა (ჰეი, გიდი! კიდევ მოჰგონებია მამა-პაპური გმირობა!). უბრძანა, კისერი გაესწორებინათ, რაც შესრულებული იქმნა ისი სტრანიკების-მიერ, მაგრამ აქ, ამათშიაც კი აღმოჩნდა ერთი გულჩვილი სტრაჟნიკი, ხმალს შეაშველა ხელი და ქარქაშში ჩააგებინა. კიდევ შესძახა—„შენ ვინა ხარო“. მიუგო: „თუ გინდა, რომ ნამდვილად გაიგო, მე მაღარელი გახლავარ; აი, ამ ბოძის გასწვრივ რომ დიდი სახლი სჩანს, ეგ ერთ დროს ყარამან ნაცვლიშვილის სასახლე იყო, იმ ყარამანის, რომლის დანახვაზე მაღარელ გლეხს შიშის ზარსა სცემდა. მამა-ჩემი იმის ყურ-მოჭრილი ყმა იყო. ეხლა მაგ სახლში ყარამანის შვილები უნდა სცხოვრობდნენ და რომელსაც ჰკითხოთ, მგონი ამაზე უარს არ იტყვიან, რომ ბებერი გიორგი მირზაშვილი მათი მონა იყო და მეც მისი შვილი ვარო“. ამ ხმაურობაზე გამოჩნდა რამდენიმე კაცი, რომელთა შორის ერთი მირზაშვილის ნაბატონრის შვილიც ერია. რომელსაც ასათაც შეეკითხა ბოქაული, ვერ იცნობთ ამასაო, ამ დროს წამოდგა წინ ბატონის ერთი შვილთაგანი და მკვახედ წამოიძახა: „მართალია, მამაჩემს ყმა ჰყვანდა მირზაშვილი, მაგრამ მე არ ვიცი, ეგ არის თუ სხვაო“. მოჰკურცხლა და შევარდა თავის სახლში. საცოდავ ტუვეს, იმედი მთლად დაეკარგა, თავის ნაბატონრის შვილმაც ვერაფერი დახმარება აღმოუჩინა. შეხსნეს ბოძიდან და გაუყენეს გზას. ღამის 9 საათი იქნებოდა, რომ მაღარის დუქნებთან მივიდნენ და ერთი აქაც მოინდომა ძმაბიჭური ქეიფი. მოატანინა ღვინო და შეუდგნენ სმას. „ტუვე“ კი შორიახლო ჰყავდათ გაბაწრული. აქაც სთხოვა რამდენიმე კაცმა და ნათესავებმა, განეთავისუფლებინათ უდანაშაულოდ შეპყრობილი, მაგრამ ხვეწნა-მუდარამ ვერ გასჭრა. აქაც რომ კარგად შექეიფიანდნენ, გაუდგნენ გზას და ღამის 11 საათზე სიღნაღში ჩავიდნენ. იმ ღამეს ტუვე „ვირის აბანოში“ ამყოფეს, თვითონ კი სასტუმროში მოისვენა. მეორე დღეს მივიდნენ მირზაშვილის ნათესავები ბატონ ბოქაულთან სასტუმროში, სთხოვეს განთავისუფლებინათ. ახლა კი მიხვდა თავ. ვახნაძე, რომ მართლა უდანაშაულოდ იყო ნაწამები მირზაშვილი და ინება განთავისუფლება, მხოლოდ იმ პირობით, რომ იმ დღეს იმასთან ექეიფნა, რადგან კიდევ ქეიფის გუნებაზე იყო. მაგრამ ნაცემ-დაბეგვილ გლეხს ხმის ამოღებისა და ფეხის გადადგმის თავიც აღარა ჰქონდა და ამიტომ დიდი მადლობა გადაუხადა და დაბრუნდა სახლში.

**მაღაროელ-ტფილისელი.**

**ს. დიდი-ჯიხაიში.** ჩვენის ჟამუშების ერთგულმა მოღვაწეობამ მოულოდნელი ნაყოფი გამოიღო. 17 ივლისს ღამე ჯიხაიშში გვეწვია მაზრის უფროსი ადგილობრივ ბოქაულის და თხუთმეტ დარაჯის თანხლებით. ჩამოსვლისთანავე იმ ღამეს ჟამუშების ჩვენებით დაეცნენ ხუთამდე ოჯახს და უგედა გაჩხრიკეს. გაჩხრეკილ ოჯახებში დააპატიმრეს 5 კაცი, რომელნიც „საეჭვო“ პირებად იცნო მაზრის უფროსმა. დაპატიმრებულთ არ აღმოაჩნდათ არც იარაღი და არც არალეგალური ლიტერატურა, რომელსაც ასე თვალგაფაციცებით ეძებდა გაჩხრეკის დროს მაზრის უფროსი. ისინი ჯერ ამავე საზოგადოების კანცელარიის სატუსაღოში არიან დამწყვდეულნი და შემდეგში კი როგორც გავიგეთ, ქუთაისის სატუსაღოში უპირებენ გაგზავნას. 18 ივლისს დილა ადრიან მაზრის უფროსმა განკარგულება მოახდინა საზოგადოების შეკრების შესახებ, რაც სულ ცოტა ხნის განმავლობაში შესრულებულ იქნა მამასახლისისა და იმის თანაშემწეების წყალობით. 12 საათზედ სავსებით შეიკრიბა საზოგადოება კანცელარიაზე. მაზრის უფროსმა შეაქო ხალხი და უთხრა: „მე დიდი ხანია ვიცნობ დიდი-ჯიხაიშის საზოგადოებას! ბევრი თქვენგანი და თითქმის დიდი უმრავლესობაც კი მშვიდი და პატიოსანი ადამიანები არიან. ამიტომ მოგმართავთ, ყური დაუგდოთ ჩემს სიტყვებს. მე მოვედი თქვენთან საერთო შრომისათვის; მინდა დაგიხსნათ უბედურებისაგან, რომელმაც ასე ცუდ მდგომარეობაში ჩაგაყენათ“-ო. ამ სიტყვების შემდეგ, გამოსთქვა რა თავისი შეხედულება რუსეთის თანდათანობით, კანონიერად და მეფის სურვილების შესაფერად გარდაქმნის შესახებ, გადავიდა პირველ და მეორე სათათბიროზე. რასაკვირველია ორივე კარგად შეამკო. ბოლოს სთქვა, იმედია აწი მაინც არ შეცდებით და სათათბიროში თქვენის ინტერესების დამცველთ გაგზავნითო. გაათავა რა ლაპარაკი, გამოუცხადა ხალხს ექვსი დარაჯის სოფელში დაყენება სოფლის ხარჯით და შეიარაღებით ყაჩაღობის და „უწესობების“ მოსასპობლად და 2,600 მანეთის ჯარიმას აუცილებლად გადახდა. ნახევარი ამ ფულისა, უბრძანა ხალხს, მეტანა 19 ივლისს 10 საათამდის, ხოლო მეორე ნახევარის გადახდის ვადა გადასდო 21 ივლისს 10 საათამდის. თან დასძინა: „თუ აღნიშნულ ვადაზედ ფული სავსებით არ ჩამაბარეთ, სოფელს ეგზეკუციით დავსჯიო“.

ხალხმა ყველაფერზედ თანხმობა განაცხადა და აღუთქვა დანიშნულ ვადაზედ ფულის ჩაბარება. დახმარებაც ასეთი უნდა! „მინდა საზოგადოება ვიხსნა უბედურებისაგანო და, თურმე ნუ იტყვით, უბედურებისაგან დასახსნელი საშუალება 2,600 მანეთის გადახდა ყოფილა!?

გულნატკენი არც სხვა ახლო მდებარე სოფლები დასტოვა მაზრის უფროსმა: 19 ივლისს ღამე მან, ბოქაულსა და დარაჯებთან სამი სოფელი ჩამოიარა. როგორც გავიგეთ ამ სოფლებისათვისაც არა ნაკლები სამსახური გაუწევია „პირტიტველა“ აგიტატორების მოშორებით.

**ჯიხაიშელი.**

# რუსეთი

✦ **სტესელის ვექილი** ამბობენ, გენ. სტესელის ვექილობა უკისრია ცნობილ შავრაზმელს შმაკოვს, რომელსაც უთქვამს, გონორარის ნახევარს „ჭეშმარიტ რუსთა“ ორგანიზაციას გადავცემ, ოღონდ ამ ორგანიზაციამ თავის რაზმელები მომახმაროსო.

✦ **ლესგაფტის კურსების დაკეტვა.** პეტერბურგში საერო განათლების მინისტრის ბრძანებით დაიკეტა ცნობილი კურსები პროფესორის ლესგაფტისა.

✦ **გადასახლება.** იმ გუბერნიების გუბერნატორებს, სადაც გადმოსახლებულ პოლიტიკურებს ასახლებენ, უთხოვიათ სტოლიპინისათვის, რომ გადმოსახლება შეაჩერონ მათ გუბერნიებში. სტოლიპინის დაწვრილებით გაუცვნია ეს საკითხი და ბოლოს იმ აზრს დასდგომია, რომ გადასახლება პოლიტიკურებისა მეტად მავნე სისტემა არისო და საამისო ბრძანებაც გაუცია. სტოლიპინი თხოულობს, რომ იშვიათად გადაასახლონ, და გადაასახლეს, უეჭველად მას უნდა შეატყობინონ.

✦ **მონარქისტთა კრება** ამ დღეებში დასრულდა მონარქისტთა კრება, რომელმაც გამოაქვეყნა თავისი რეზოლიუციები, კრებამ, სხვათა შორის, დაადგინა: მონარქისტთა პარტიებმა არჩევნებში მხნე მონაწილეობა უნდა მიიღონ, მაგრამ არც ერთ პარტიასთან კავშირი არ უნდა დაიჭირონ; მოაგონონ მთავრობას, რომ მტკიცედ შეასრულოს ის ცირკულიარი, რომელიც უკრძალავს სახელმწიფო სამსახურში მიღებას იმ მოხელეებს, რომელნიც დაუკანონებელ პარტიებს ეკუთვნიან; დაევალოს მთავარ საბჭოს შეიმუშაოს ცალკე ნიშანი პარტიის მაჰმადიან წევრთათვის და იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ დამტკიცებულ იქმნას წესდება „ჭეშმარიტ რუსთა“ კავშირისა მაჰმადიანთათვის; დაევალოს ყველა მონარქისტულ ორგანიზაციას, რომ ებრაელებთან მომუშავე რუსებს რუსებთან უშოვონ სამუშაო; ეთხოვოს სინოდს, რომ მან ლოცვის იმ ადგილს, სადაც ნათქვამია: „განსაკვირებლად მართლ-მადიდებელ მხედართა, ბრძოლის ველზე თავდადებულთა“, დაემატოს შემდეგი სიტყვები: „და მეფის ერთგულ მონებისა, ეკკლესიისა და მეფის სამსახურისათვის [illegible] ერ დახოცილთა“.

კრებამ შეიმუშავა შემდეგი პლატფორმა: მონარქისტულმა ორგანიზაციებმა უნდა მტკიცედ დაიცვან იდეია წმინდა მართლმადიდებელ სარწმუნოებისა, თავისუფლება თვითმპყრობელ მეფისა და თავისუფლება რუსის ხალხისა; რუსის ხალხი ბატონ პატრონი უნდა იყოს რუსეთში; რუს-გლეხებს მიწა უნდა მიეცეს, იმ პირობით კი, რომ ნაწყენი არავინ დარჩეს; დაწესდეს სწრაფი სასამართლო, რომელიც ჩაიბაროს ჭეშმარიტ რუსებს; სწრაფი და სასტიკი დასჯა მძარცველებისა, პოლიტიკურ მკვლელებისა და ყველასი, ვინც მათ დაიფარავს, დაიცავს და წააქეზებს.

✦ **30.000 მანეთის ექსპროპრიაცია.** დეპეშებში მოკლედ იყო მოხსენებული ამ ფულის ექსპროპრიაციის ამბავი, კიევის მახლობლად ერთ სადგურზე. ექსპროპრიაცია 16 ივლისს მოხდა კიევიდან ოდესაში მიმავალ მატარებელზე. საღამოს $9^{1}/_{2}$ საათი იქნებოდა, ვაგონში ოდნავი სინათლე იყო. ერთმა ყმაწვილმა კაცმა ვაგონში შესვლისთანავე დაიძახა: „ყუმბარას უფრთხილდით! ხელები ზევით! არავინ დაიძრათ!“ მგზავრებს მოუხედნიათ და დაუნახავთ რამდენიმე ყმაწვილი კაცი, რევოლვერებით ხელში. ყველა ძალზე დამფრთხალა. ორი ყმაწვილი გაქანებულა ერთ კუნჭულისაკენ, სადაც მჯდარა შაქრის ქარხნის მეარტელე კოროლევი. უცნობებს რამდენჯერმე დაუხლიათ რევოლვერი, აუცლიათ ფული და გავარდნილან ვაგონის ბაქანზე. იქ მოუტრიალებიათ ტორმოზი, ვაგონი გაუჩერებიათ, გადამხტარან და ტყეში მიმალულან. ყველა ეს ერთ წუთას მომხდარა.

## თეატრი და ხელოვნება

**წარმოდგენა-კონცერტი.** 26 ივლისს „რენესანს“-ის თეატრში გაიმართა ქართული წარმოდგენა და კონცერტი. თუმცა ამინდმა ხელი არ შეუწყო, მაგრამ მაინც ხალხი ბლომად დაესწრო, „რენესანსის“ თეატრი მთლად გატენილი იყო. პირველ განყოფილებაში წარმოადგინეს „ჯერ დაიხოცნენ მერე დაქორწინდნენ“, კომ. რაფ. ერისთავისა, რომელმაც მშვენივრად ჩაიარა. საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დარჩა.

მეორე საკონცერტო განყოფილება იყო. ფილარმონიულ საზოგადოების ხორომ შეასრულა რამდენიმე სიმღერა. ხოროს დირიჟორობდა ჯერ ბ-ნი ფალიაშვილი, მერე ბ-ნი დადაქიშვილი. სიმღერები მწყობრად შეასრულეს, თუმცა ბევრი ამბობდა, რომ ეს ხორო სხვა კონცერტებზე უფრო უკეთესად ასრულებდა ამავე სიმღერებსაო. კარგად შეასრულეს დუეტი ტასო აბაშიძემ და ბ. ცხომელიძემ. საზოგადოებამ გაამეორებინა ეს დუეტი მომღერალთ.

## სამღვდელოების საყურადღებოდ.

(წერილი რედაქციის მიმართ)

**ტფილისის საეპარქიო სასწავლებელი.**

(დასასრული *)

როგორც წინა წერილში „მოვიხსენეთ, საეპარქიო სასწავლებელს აქვს პანსიონი, რომლის შენახვაც ყოველ წლივ მთელის ბიუჯეტის ნახევრად (17,000 მანეთად) უჯდება და რომელშიაც 350 მოწაფიდან სულ რაღაც 90-ოდე მოწაფე ჰპოვებს თავშესაფარს. ამ უკანასკნელთა რიცხვიდანაც სახელმწიფო ხარჯზე იზრდება 40-ოდე მოწაფე; დანარჩენების ხარჯს მშობლები იხდიან, წელიწადში 150 მანეთს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ პანსიონით მხოლოდ ის მშობლები სარგებლობენ, რომელნიც შედარებით უფრო შეძლებულნი არიან. უმრავლესობისათვის კი პანსიონის კარები დახშულია. სჩანს მამასადამე, რომ ფაქტიურად პანსიონი არსებობს 50 შეძლებული პირისათვის. მაგრამ ეს კიდევ დიდი უბედურება არ არის. უმეტეს უბედურებას შემდეგი გარემოება წარმოადგენს: პანსიონერების შესანახად უკანასკნელ წლებში შემოდის სულ წლიურათ 14,000 მანეთზე ცოტა მეტი; პანსიონის შენახვა კი ჯდება 17,000 მანეთზე მეტი, ე. ი. წელიწადში პანსიონი ჰნთქავს 3000 მანეთით მეტს, ვიდრე ამას თვითონ პანსიონის შემოსავალი იძლევა. საიდან ჩნდება ეს 3000 მანეთი? აი საიდან: თუმცა ამ სასწავლებელს სასულიერო წოდების სახელი

*) იხ. „ისარი“ № 163.

---

აზრის სიყალბეს მარტო ისიც ამტკიცებს, რომ დღევანდელ დისკუსიის ცენტრალური ადგილი უჭირავს ეროვნულ საკითხს. ასეა თუ ისე, მაგრამ მისი გადაწყვეტა მით უფრო ძნელია, რომ იგი მჭიდროდ არის გადახლართული სხვა და სხვა პირობებთან: ეკონომიურ მისწრაფებასთან, კულტურულ სხვადასხვაობასთან და სხ. ყველაფერი მხედველობაში უნდა მივიღოთ.

სანამ საკითხის არსებით განხილვას შევუდგებოდე, მე მსურს უარვყო ერთი საყვედური, რომელიც ჩვენ, ჩეხებს გვითხრეს. ერთ პარტიულ ორგანოში წავიკითხე, რომ ჩეხ ამხანაგებმა მლადოჩეხების ჩივილს გადამეტებული ყურადღება მიაქციესო. უსაფუძვლო საყვედურია. ჩეხ ამხანაგებმა თავიანთ დასაბუთებულ პროტესტით წინააღმდეგ სახელმწიფო უფლებისა სამუდამოდ გასწყვიტეს კავშირი მლადო ჩეხებთან და დაამტკიცეს, რომ არც ეკონომიურად და არც პოლიტიკურად საერთო არაფერი აქვთ მლადო ჩეხებთან, რომელნიც მხოლოდ იმაზე ზრუნავენ, რომ შეინარჩუნონ ძველი უპირატესობანი და მოიპოვონ ახალი. 1897 წელს, როცა პრაგა ნაციონალიზმით იყო გადარეული და ჯარსა და პოლიციას ვერაფერი ვერ მოეხერხებინა, ჩვენ საქმით უარვყავით ეს საყვედური. იმდროს ჩეხთა სოც. დემოკრატიამ არა თუ თავი დაახწია ეროვნულ შოვინიზმს, არამედ იმ ადგილებში, სადაც მას ძლიერი ორგანიზაცია ჰქონდა, წინააღმდეგობაც გაუწია ამ შოვინიზმს, თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ უჭირავს თავი ჩეხთა ახალ ვაზდა ბურჟუაზიას. გერმანელთა ბურჟუაზია გამოიფიტა, ჩეხთა ბურჟუაზია კი ხარბია, დაუნდობელია, გაუთლელია. ამიტომ ჩვენ ასეთი საყვედური დაუმსახურებლად მიგვაჩნია.

ჩემ წინ ორი რეზოლიუცია დევს: ერთი ეკუთვნის შეერთებულ კომისიას, მეორე სამხრეთელ სლავიანებს. უფრო დიდ ყურადღებას პირველ რეზოლიუციას მივაქცევ. იგი ორ ნაწილად იყოფა: ერთია თეორეტიული, მეორე პრაქტიკული. პირველი სავსებით ეფარდება ჩვენს პროგრამას და ჩვენ შეგვიძლიან სრულებით დავეთანხმოთ მას. პრაქტიკულ ნაწილზე კი ცოტა რამ გვეთქმის. იგი ეწინააღმდეგება თეორეტიულ ნაწილს და არ შეეფერება ჩვენი პროგრამის ძირითად თეზისებს. ჩვენ, სოც. დემოკრატები, ვემყარებით ისტორიულ მატერიალიზმზე და ყოველ მოვლენაში ვეძებთ ეკონომიურ მიზეზებს. რეზოლიუცია კი ძალიან ასცდა ამ გზას. რეზოლიუციიდან ის აზრი გამოდის, ვითომ შეიძლებოდეს სახელმწიფოში სახელმწიფოს აშენება მიუხედავად საწარმოვო ურთიერთობისა და ეკონომიურ განვითარებისა. ჩემის აზრით აქ იმალება ძირითადი შეცდომა რეზოლიუციისა. თეორეტიულ ნაწილში აღნიშნულია, რომ ჩვენ წინააღმდეგი ვართ ბიუროკრატიულ ცენტრალიზმისა. მგონი ესევე აზრი უნდა ყოფილიყო გატარებული პრაქტიკულ ნაწილშიაც. მაგრამ ხუთი პოსტულატი რეზოლიუციის მეორე ნაწილისა არა თუ არ მოსპობს ცენტრალიზმს, არამედ გააძლიერებს კიდეც მას. მეორე ნაწილში აღიარებულია „საერთო ენა“, ამით ბიუროკრატიას თითქო მხარს ვაძლევთ. მართალია, ავსტრიაში უნდა დამყარდეს ახალი, დემოკრატიული წყობილება, სადაც ხალხი თვითონვე აირჩევს თავის მოხელეებს, მაგრამ ასეთი წყობილება ჯერ კიდევ შორს არის. სანამ მივაღწევთ ასეთ წყობილებას, მანამდის საერთო ენასაც ვიპოვით. ეხლა კი რა ჩვენი საქმეა იმის გამორკვევა, თუ რა ენაზე ექნება მიწერ-მოწერა მთავრობას. ავსტრიის ყველა მოხელეთათვის რომ ერთი ენა დავაარსოთ, ამით სავსებით ვაბათილებთ ერთა თანასწორობის პრინციპს; თუ საქმე შეეხება უმაღლეს მთავრობის ენას, ეს ხომ ჩვენ სულ არ გვეხება. უმაღლესი მთავრობა ისე მოიქცევა, როგორც ხელსაყრელი იქნება მისთვის. ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, თუ როგორ მოგვეპყრობა იგი ჩვენ.

რეზოლიუციის მიზანია შეამციროს და შეასუსტოს ის მიზეზები, რომელნიც ერთა შორის შუღლს იწვევენ, მაგრამ რეზოლიუცია, ჩემის აზრით, სრულიად საწინააღმდეგო მიზანს მიაღწევს. წარმოიდგინეთ ამ რეზოლიუციის პრაქტიკული განხორციელება, მაგალითად ბოჰემიის დაყოფა ეროვნულ ოლქებად, იქ ზოგიერთა ადგილზე რამდენიმე ერი ცხოვრობს არეულად და ბრძოლა ენის შესახებ გადატანილია გადაკარგულ სოფლებშიაც. მაშასადამე, იქ ბრძოლა უნდა ატყდეს იმის გამორკვევის დროს, თუ რომელ ერს ეკუთვნის ესა თუ ის სოფელი. ამ რიგად, ეროვნული შუღლი ეხლანდელზე უარესად გამწვავდება. თავიდანვე აღვნიშნე, რომ რეზოლიუცია არავითარ ყურადღებას არ აქცევს ეკონომიურ ურთიერთობას. იქ ლაპარაკია კულტურულ და ეროვნულ სხვა-და-სხვაობაზე მაგრამ არაფერია ნათქვამი ეკონომიურ სხვა და სხვაობაზე იმას კი გამორკვევა უნდა, თუ ვინ უნდა გადაიხადოს ყველაფრის ხარჯი. ახალ წყობილების დროს ჩნდება ეკონომიური ბრძოლა, რომელიც სხვა გვარ ბრძოლაზე უარესი იქნება. ჩვენ, ჩეხი სოციალ დემოკრატები ამ რეზოლიუციას მხარს ვერ მივცემთ, ვინაიდან იგი არ ეფარდება იმ გზას, რომელზედაც უნდა ვიაროთ ჩვენ, სოც.-დემოკრატებმა. იგი არ შეეფერება ჩვენს პრაქტიკულ მოთხოვნილებასა და სურვილს და არა თუ არა სპობს ეროვნულ ბრძოლას, არამედ ამწვავებს კიდეც მას.

ა.

(შემდეგი იქნება)

ჰქვიან, მაგრამ იგი მთლად წოდებრივ დაწესებულებასაც არ წარმოადგენს. სასულიერო წოდების შვილებთან ერთად აქ სხვა წოდების ქალებიც სწავლობენ, რომელნიც ყოველ წლიურად **სწავლის ქირად** იხდიან 40 მანეთს, რაც საერთოდ თითქმის 5000 მანეთს შეადგენს. ცხადია, როგორც სწავლის უფლებისათვის გადახდილი, მთელი ეს ჯამი მხოლოდ სწავლის საქმეს უნდა ხმარდებოდეს; ნამდვილად ამ ჯამის ნახევარზე მეტი (3000 მანეთი) იმ უძირო ქვევრის—პანსიონის—შესანახად იხარჯება, რომლითაც, როგორც ზემოდ გავარკვიეთ, 350 მოწაფიდან მხოლოდ 90-ოდე მოწაფე სარგებლობს და ამათ რიცხვშიაც 50-ზე მეტი შეძლებული მშობლების შვილები არიან. ამგვარად, 350 მოწაფის სწავლა-განათლების საქმე მსხვერპლად ეწირება 90-ოდე (და ისიც ნახევრად შეძლებულის) მოწაფის ინტერესს, ე. ი. უარ-ყოფილი და დავიწყებულია სამართლიანობის პრინციპები. ამავე დროს ეს 3000 მანეთი, რომელსაც პანსიონი ყოველ წლიურად სწავლა-განათლების საქმეს სტაცებს, არც ისე მცირე ჯამია, რომ საეპარქიო სასწავლებელმა იმის ასე უსამართლოდ დახარჯვას გულგრილად უცქიროს: ამ ფულით რამდენისამე წლის განმავლობაში შესამჩნევად შეიძლებოდა გაუმჯობესებულიყო ბიბლიოთეკები და ფიზიკური კაბინეტი; გამართულიყო სადამოობით მეცადინეობა მოწაფეებთან მასწავლებელთა ხელმძღვანელობით და თვით მასწავლებელთაც მცირეოდენი სასყიდელი მაინც დანიშნოდათ წერითი სავარჯიშოების გასასწორებლად, რაც საერო სასწავლებლებში ყველგან მიღებულია. მასწავლებლებს რიგიან ჯამაგირს ვერ აძლევენ, მაშ საპედაგოგიო ხელ-საწყობები (ბიბლიოთეკები, ფიზიკური კაბინეტი და სხვ.) მაინც რიგიანი უნდა მისცენ.

მაგრამ დღევანდელს გაჭირვებულ პირობებში ამას ვერ შესძლებენ, სანამ სასწავლებელში ის ზემოაღნიშნული უძირო ქვევრია (პანსიონი). საჭიროა ჯერ თვით ამ ჭირისაგან განთავისუფლება, ე. ი. პანსიონი უნდა დაიხუროს. ამასვე მოითხოვს მრავალი სხვა გარემოებაც. ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ ჯეროვანად მოწყობილ პანსიონებისა. მაგრამ ის პანსიონი, რომელიც დღეს საეპარქიო სასწავლებელშია, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს: მას არა აქვს შესაფერად მოწყობილი სამეცადინო, საძილარი და სასადილო ოთახები (უკანასკნელი სადღაც ძირს ნოტიო სარდაფშია), არა აქვს შესაფერად ვრცელი ეზო, არც საზამთრო შუშაბანდიანი აივანი და მოწაფე ქალები იძულებულნი არიან ზამთრის სუსხშიაც კი სამეცადინო ოთახებიდან პირდაპირ ღია აივანზე გამოვიდნენ, რაც მათს ჯანმრთელობას დიდ საფრთხეში აგდებს. ამის გამო პანსიონერებს შორის ხშირია სისხლნაკლებობა, ნაადრევი დაქანცულობა და მრავალგვარი უფრო სერიოზული და საშიში სნეულებანი. თუმცა პანსიონზე სასწავლებლის მთელი ბიუჯეტის ნახევარი იხარჯება, მაგრამ ეს ჯამი (17000 მ.) თავის თავად დიდს არაფერს წარმოადგენს: პანსიონის რიგიანად მოსაწყობად იგი სრულიად საკმაო არ არის. მომატება კი არას გზით არა ხერხდება, ამავე დროს ყოველგვარ სანოვაგის ფასი ტფილისში დღითი-დღე მატულობს და პანსიონს ყოველწლივ გადაუხდელ ვალებში ახრჩობს. ერთის სიტყვით, მეტი გზა არაა: პანსიონი უნდა დაიხუროს და ის 6000 მანეთი, რომელიც სტიპენდიანტების შესანახად იხარჯება პანსიონში, მათ პირდაპირ ხელზე უნდა მიეცეთ, და სასწავლებლის კორპორაციამ თვითონ უნდა იზრუნოს ამ 40-იოდე სტიპენდიანტის რიგიანს ოჯახებში დაბინავებისათვის.

პანსიონის დახურვას მოითხოვს შემდეგი გარემოებაც: როგორც პირველ წერილში აღვნიშნეთ, მთხოვნელთა რიცხვი სასწავლებლის მოსამზადებელსა და პირველ სამ კლასში ყოველ წლივ მატულობს; სასწავლებელს კი არც ერთი პარალელური კლასი არა აქვს და არც შეუძლიან იქონიოს, რადგან შენობის თითქმის ყველა ოთახი პანსიონს უჭირავს. როცა პანსიონი დაიხურება, ეს ოთახები განთავისუფლდება და ამ მხრივ პარალელურ კლასების გახსნას დაბრკოლება აღარ ექნება. მართალია, პარალელურ კლასების შენახვა სასწავლო ხარჯს საგრძნობლად გაზრდის (რადგან მასთან ერთად გაკვეთილე ის რიცხვიც იმატებს), მაგრამ ამას ადვილად შეიძლება კაცმა თავს შემოუაროს. როგორც ნათქვამი გვაქვს, საერო პირის შვილები აქ სასწავლო ფასს წლიურად 40 მანეთს იხდიან. დღეს მათი რიცხვი მთელ სასწავლებელში ყველა მოსწავლეთა 10%-ს არ აღემატება. მაგრამ ვინ დაუშლით ეს რიცხვი 50%-მდე აიყვანონ? რასაკვირველია, არავინ. ვთქვათ თვითეულ კლასში (ორსავე განყოფილებაში) სამოც-სამოცი მოწაფე იყოლიეს; აქედან 30 მოწაფე საერო წოდებისა იქნება, ე. ი. წლიურად 40 მანეთის გადამხდელი. სასწავლებელში სულ რვა კლასია (2 მოსამზადებელი), ხოლო თუ ერთიც (მე-VII) კიდევ გახსნეს, მაშინ ცხრა კლასი იქნება. მაშასადამე, ორთა-შუა რიცხვით საერო წოდების მოწაფეთაგან სასწავლებელს ყოველ წლივ შემოუვა $40 \times 30 \times 9 = 10{,}800$ მანეთი, რაც დღესდღეობით სრულიად საკმაო იქნება პარალელურ კლასების შესანახად; და არა თუ კლასების შესანახად, ფიზიკური კაბინეტისა და წიგნთსაცავ-სამკითხველოს გასაუმჯობესებლადაც. ამავე ფულიდან შეიძლება რამოდენიმე პროცენტი მასწავლებელ-აღმზრდელთა საპენსიო თანხისთვისაც გადაიდოს.

საჭიროა ამ ცვლილებათა შეტანას სასწავლებელში ენკენისთვიდანვე შეუდგნენ. ამ საქმის გადადება ყოვლად შეუწყნარებელი და შეცდომა იქნება.

**მოკეთე.**

## წერილი რედაქციის მიმართ

**(პასუხად ღვინიკოსს ლადო ბეკაურს)**

ბ. ლადო ბეკაური მეკითხება «ისარის» მე-142 ნომერში, თუ რა უყავი მისგან გადმოცემულ ხუთ თუმანს (ვითომ გურულთა სასარგებლოდ). ეს შეკითხვა სასიამოვნოდ დამრჩა, რომ სამწუხარო არ იყოს. სასიამოვნოდ დამრჩა იმისთვის, რომ ყოველივე შეწირულების სვე-ბედი უნდა გამოირკვეს, სამწუხაროა მითი, რომ ბ. ბეკაურს აღარ ახსოვს რისთვის გადმომცა ხუთი თუმანი, თორემ არ იტყოდა—„გურულთა სასარგებლოდაო". არ იტყოდა მით უფრო, რომ იმ დროს ბ. ბეკაური თბილისში მიდიოდა და თუ გურიულებისთვის უნდოდა შეეწირა ფული, ამას თბილისში უფრო კარგად მოახერხებდა და მე არ დამიტოვებდა, რადგან იმ დროს არავითარი შეწირულება არა გროვდებოდა. 1906 წ. ქალაქ ხარბინში აპირობდნენ ქართველთა ურთი-ერთ დამხმარებელ საზოგადოების დაარსებას. მიზანი მეტად კარგი და სიმპატიური იყო, რისთვისაც ძლიერა სცდილობდნენ ზოგიერთი პატივცემული პირები (უფრო კი დროთა უკუღმართობის მიზეზით გარდახვეწილები, გაგზანილები). მაგრამ ქართველთა გულ-ციობამ იქაც იჩინა თავი. ამავე წელს თეპერვალში სასტუმრო „ნოვო ლონდონში" კერძო საუბრის დროს გავაცანი მიზანი და მიმართულება ხსენებული საზოგადოებისა ბ. ბეკაურს. აი ამ დროს გადმომცა მან ხუთი თუმანი შემდეგის სიტყვებით: თუ შესდგეს მაგ გვარი საზოგადოება, ეს ჩემი წვლილიც შეიტანეო, თან დაუმატა შენის შეხედულებით, რისთვისაც უფრო საჭიროდა სცნო აქ ხარბინში, იმას დაეხმარეთ. ამის შემდეგ ბ. ბეკაური წამოვიდა საქართველოში. მეც მალე მომიხდა წამოსვლა (მარტში). აქ რომ ჩამოვედი, ბ. ბეკაური მანჯურიაში წასულიყო, ისე რომ აქამდი მისი აღარა ვიცოდირა და ფულის შესახებაც ვეღარა ვაცნობერა. თუმცა ბ. ბეკაურმა ჩემი და ჩემი ნათესავების ადრესი დიდი ხანია კარგად იცის, ის მაინც გაზეთით მეკითხება „რა უყავი ჩემი ხუთი თუმანიო. მეც მოვახსენებ: თქვენი ხუთი თუმნიდან ოთხი თუმანი ჩემთან არის შენახული მანამდი, სანამ თქვენგან ნება რთვა არ მომივა ვის გადავსცე ან რას მოვახმარო, ხოლო ერთი თუმნით თქვენი მხრით დახმარება გაუწიე ჭლექით ავადმყოფს ვანო მუსერიძეს, რომლის ბარათს რედაქციაში ვარდგენ*). ეს ვანო მუსერიძე შეგროვებული ფულით გამოისტუმრეს ხარბინიდან, რომელსაც დიდი თახმარება 100 მ. გაუწია თვით თქვენმა კარგმა ნაცნობმა ბ. მაქსიმე გავაშელაშვილმა და ნ მეტრეველმა, რისთვისაც მადლობის ღირსნი არიან დავშთები თქვენი პატივისმცემელი **ვასილი კირვალიძე**.

*) აქვე მოგვყავს ეს ბარათი: „მძიმედ ავადმყოფს ოცი მანეთით დახმარება გამიწია ვასილ კირვალიძემ. ამ ფულში ერთი თუმანი ტეხნიკი ბეკაურის მხრით არის: ორივეს მადლობას ვწირავ. ვანო მუსერიძე. ხარბინი 1906 წ."

**რედ.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 ივლისი

**რ უ ს ე თ შ ი.**

**სამარა.** ხოლერით ავად გახდა სულ 55 კაცი. იმათგან 15 გარდაიცვალა. საავადმყოფოს საქალებო განყოფილებაში ხოლერის აცრა დაიწყეს.

**ჩერნიგოვი.** ბერეზინის მაზრის სოფ. შაპოვალოვკაში ვიღაც უცნობმა რევოლვერით მოჰკლა რუსთა კავშირის ადგილობრივ განყოფილების თავმჯდომარე გირჩენკო.

სტაროდუბის მაზრის სოფ. ვარპუშინოში ხუთი გრიმ გაკეთებული კაცი თავს დაეცა მღვდელს. სამი შეიპყრეს.

**კიევი.** საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში აუარებელი თხოვნა შეაქვთ. განხილულია 1089 თხოვნა. განუხილველია 500-მდე. ვაკანსია 400-ია

**პეტერბურგი.** სარატოვის გუბ. ცარიცინის მაზრის სოფ. პესჩანკაში 17 ივლისს (?) 8 კაცი გახდა ავად რაღაც საეჭო სენით. ორი გარდაიცვალა. 8 ივლისს შემდეგ ავად აღარავინ გამხდარა. ავადმყოფობა შავ ჭირად მიაჩნიათ, რაკი ორი კვირა გავიდა ავადმყოფობის უკანასკნელ შემთხვევის შემდეგ, ავადმყოფებთან მყოფთ ნება მიეცათ თავისუფლად გამოსვლისა.

სატყეო დეპარტამენტმა გლეხთა საჭიროებისათვის ევროპის რუსეთის 31 გუბერნიაში დასთმო 33 ნაჭერი სატყეო მიწა ზომით 16038 დესეტინა. ბალტიის განაპირა გუბერნიებში სახელმწიფო აგარაკებიდან 78 ნაჭერი ტყე გამოყვეს ზომით 7485 დესეტინა. ეს ადგილი გლეხებს იჯარით უნდა მისცენ.

**ხარბინი.** დააპატიმრეს და სატუსაღოში ჩასვეს ვიღაც უცნობი, რომელმაც განაცხადა, ანკინსკი ვარ, მინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო მინდობილებათა მოხელეო. იმის ბარგებში იპოვნეს რუსეთის და უცხოეთის მომგებიანი ქაღალდები 4 მილლიონ ფრანკისა.

**ოდესსა.** ქალაქის საბჭომ გენერალ ყარანგოზოვის ხსენებას ფეხზე ადგომით სცა პატივი და დაადგინა, გაეგზავნოს იმისს ქვრივს სამძიმრის დეპეშა და გვირგვინით შეამკოს მიცვალებულის კუბო.

**კალუგა.** კალუგის მაზრაში საერობო კრებაზე აირჩიეს მემარჯვენენი და ოქტომბრისტები.

**კოსტრომა.** კოსტრომაში საერობო არჩევნებზე აირჩიეს ოქტომბრისტები კადეტები გააშავეს.

**მინსკი.** ლიახოვკაში, აღმოაჩინეს საიდუმლო სტამბა ანარქისტ-კომმუნისტებისა. იპოვნეს ორი ყუმბარა და არალეგალური ლიტერატურა.

**სარატოვი.** ბეკოვოში თავისს სახლში მოჰკლეს პოლიციის ურიადნიკი.

**ორიოლი.** სევსკის მაზრის სოფ. სელეჩინში 6 შეიარაღებულმა კაცმა მოჰკლა სასოფლო სასამართლოს დარაჯი და გაძარცვა მამასახლისი.

ოთხი კაცი თავს დაესხა ელისეის საგლეხო სასამართლოს ბრინსკის მაზრაში. გაიტაცეს საპასპორტო ბლანკები და ფული.

სელეჩინის სასამართლოზე თავ-დამსხმელნი დაიჭირეს. უნახეს 6000 მანეთი.

**სამარყანდი.** აღმოსავლეთის საზოგადოების კანტორაში 6 კაცი შევარდა. გაიტაცეს 565 მანეთი.

**ირკუტსკი.** ჩერემოხოვის ქუჩაზე სამმა შეიარაღებულმა კაცმა წინააღმდეგობა გაუწია ღამის დარაჯებს. ერთი მოჰკლეს, მეორე შეიპყრეს.

**ნიჟნე-ტაგილის ქარხანა** (პერმის გუბ). მჭედავი პოლომოდოვი ძალზე მთვრალი მოვიდა და ამიტომ მატარებელს არ გააყოლეს. როცა შინ დაბრუნდა, პოლომოდოვმა დანას მოავლო ხელი, ცოლი სასიკვდილოდ დასჭრა, ორი შვილი მოჰკლა, მიიჭრა სადგურზე და იქაც დასჭრა ჟანდარმი და მგზავრი.

**პეტერბურგი.** სინოდმა დაადგინა, ხელ ახლა გაიხსნას ვიატკის სემინარია. მომავალ სამოსწავლო წელში მიღებულ უნდა იქმნას მხოლოდ ის 92 მოსწავლე, რომელთაც არეულობაში, რამაც სემინარიის დახურვა გამოიწვია, მონაწილეობა არ მიუღიათ. დანარჩენი 325 მოსწავლე უნდა მიიღონ უკანვე ერთის წლის შემდეგ თხოვნით, გამოცდით და უსასტიკესი გარჩევით.

სინოდმა დაადგინა, დაარსოს პეტერბურგის მიტროპოლიტის მეოთხე ქორეპისკოპოსის ადგილი. იმას ჩაბარდება დასავლეთ ევროპის მართლმადიდებელ ეკკლესიების გამგეობა; საცხოვრებელი ადგილი ექნება ქალაქ რომში და კრონშტადსკის ეპისკოპოსი დაერქმევა

**რიგა.** პოლიციამ დააპატიმრა 9 კაცი მმარცავთა ბრბოდან. დაიჭირეს ვიღაც უცნობიც სტუდენტის ფორმაში გამოწყობილი. ამის სახლში იპოვნეს ასაფეთქებელი მასალა. უცნობი გამოტყდა, 18 მარცა-გლეჯაში მივიღე მონაწილეობაო.

**ვიბორგი.** კუოკალას სადგურთან აღმოჩენილი ყუმბარების ქარხნის საქმის გარჩევა გადასდეს.

**დონის-როსტოვი.** მოჰკლეს კავკავის რკინის გზის სახელოსნოს მთავარი ხელოსანი.

**ლოძი.** ლუდხანაში მოჰკლეს მუშა ქალი.

**კიევი.** სამხრეთ რკინის გზის სადგურ პოპელნიასთან რამდენიმე შეიარაღებული კაცი თავს დაესხა ოთხ მგზავრს და გაძარცვეს ისინი. ერთი გაძარცულთაგანი მოჰკლეს, თუმცა მან თავდამსხმელის დაჭრაც მოასწრო. დაჭრილი თავდამსხმელი პოლიციამ დააპატიმრა.

**ხლოპიანსკი.** სამმა კაცმა გასძარცვა კონონენკოს დუქანი. მდევარი დაადევნეს. ერთი მოჰკლეს, მეორე დასჭრეს.

**ბერდიჩევი.** შეინბერგის ბანკის კონტორას დღისით თავს დაეცა სამი შეიარაღებული კაცი. წაიღეს 2200 მანეთი. ერთი კაცი შეიპყრეს.

**უ ც ხ ო ე თ შ ი.**

27 ივლისი

**ლისაბონი.** სანტ-ანტონიო ესტრელლას ქუჩაზე მესპილენძეს სახლში ყუმბარა აფეთქდა. 4 კაცი დაიჭრა. დაჭრილები საავადმყოფოში დააწვინეს და ყარაულები დაუყენეს. სახლი გაჩხრიკეს. აღმოაჩინეს წიგნი, სადაც ყუმბარის საკეთებელი რეცეპტები აღმოჩნდა. იქვე იპოვნეს სხვა და სხვა ქიმიკური მასალა. რამდენიმე კაცი დააპატიმრეს.

**ტანჟერი.** მაჰმად-ელ ტორრესმა ყველა სახელმწიფოს ელჩებს შეატყობინა, პასუხისმგებელი არა ვარ, თუ ქალაქ გარედ ევროპიელებს რამე დაუშავდათ, რადგან კაზაბლანკისათვის ზარბაზნების დაშენით მკვიდრნი მეტად აღელვებულნი არიანო.

საფრანგეთის მისსიამ მაროკკოს მთავრობას შეატყობინა, თუ უწესოება მოხდა, ჯარს გადავსხამთ ქალაქისა და საელჩოს დასაცველადაო.

**ჰააგა.** მცირე კომისიაში კენჭი უყარეს ბელგიის წინადადებას—აღკრძალულ იქმნას ომის დროს ჰაეროსტატიდან ასაფეთქებელ ნავთიერების გადმოგდება. 27 დელეგატი წინადადებას დაეთანხმა, ხუთი წინააღუდგა, სამმა განაცხადა, თუ ერთ ხმად მიიღებთ, ჩვენც მივემხრობითო. მსჯელობა ჰქონდათ იტალიის წინადადების შესახებაც. იტალია თხოულობს, რომ ომის დროს ჰაეროსტატი უნდა იყოს ხელით მოსამართ ვი და აკრძალული უნდა იყოს ჰაეროსტატიდან გაუმაგრებელ ქალაქებზე სასროლ მასალის დაშენა. გერმანიის წარმომადგენელმა ამის შესახებ განაცხადა, რომ შეუძლებელია ხელით მოსამართავ ჰაეროსტატის შესახებ რამე წესდების შემუშავება. არა-მოსამართავი ჰაეროსტატებიც გაუწევენ კაცს ომის დროს სამსახურსაო. საფრანგეთის წარმომადგენელი ამ აზრს დაეთანხმა.

**პარიჟი.** «ჰავასის სააგენტო»ს ცნობით, ტანჟერში მთავრობა საფრანგეთის მისსიის მედგარ მოთხოვნილებათა გამო ძლიერ დაფაცურებულა. შეუდგენენ წეს-რიგის აღდგენას. შეიპყრეს რამდენიმე კაცი, რომელნიც საფრანგეთისადმი მტრულად არიან განწყობილნი.

რედაქტორ-გამომცემელი

**ე. ავალიშვილი.**

# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

**დაარსებულია 1880 წ.**

**(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).**

**ყოველ დღე, კვირეებს გარდა.**

**დ ი ლ ი თ:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**ფ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ბაბანაზოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პეტინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გელოვანი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შმერლინინა:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი**

(150—ხალ.—122)

ტფილისის ქალაქის

## გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1907 წ. 9 აგვისტოს ნაშუადღევის პირველ საათზე ქალაქის გამგეობის სადგომში იჯარით გაიცემა მაწანწალა ძაღლების დაჭერა, დახოცილ საქონლის ლეშის გატანა ქ. ტფილისის ქუჩებიდან და აკრეფა ძაღლებზე დაწესებულ გადასახადისა ქალაქის სასარგებლოდ. ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, პირობების გაგება შეუძლიან გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2-მდე. (3—5—2)

ტფილისის ქალაქის

## გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1907 წ. 9 აგვისტოს 12 საათზე გამგეობის სადგომში იჯარით გაიცემა ქალაქის ბორანი პესკასა და მუხრანის ქუჩის შუა. ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, პირობების გაგება შეუძლიან გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—6.—2)

## კლინიკა

კბილის ავადმყოფობისა

ლ. [illegible]

**კბილის ექიმი [illegible]**

ერევნის მოედანი (ა[illegible] 3).

ავადმყოფების მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. კვირაობით 9-დან 1 საათამდე.

ფასი მკურნალობისა:

| | | |
|---|---|---|
| საექიმო რჩევა საზოგადოდ | | 20 კ. |
| ერთი კბილის ან ძირის ამოღება | | 20 „ |
| კბილის გაწმენდა | | 50 „ |
| „ „ არის უფრო ძვირიც | | |
| პლომბა გუდაპერჩისა | | 50 „ |
| „ „ ცემენტისა | 1 მ. | |
| „ „ მეტალიური | 1 „ | |
| „ „ ვერცხლისა ამალგამა | 1 „ | 50 „ |
| „ „ ემალისა | 1 „ | 50 „ |
| „ „ ფაი ფურისა | 3 „ | |
| „ „ არის უფრო ძვირიც 5 მან.-მდე. | | |
| „ „ წმინდა ოქროსი | 3 „ | |
| „ „ უფრო ძვირიც. | | |
| ხელოვნ. კბილები კაუჩუკზე 1 კბილი: | | |
| „ „ დიატორიტიული | 1 „ | |
| „ „ კრამპონისა | 1 „ | 50 „ |
| ხელოვ. კბილ. კაუჩუკზე ოქროს კავებით: | | |
| „ „ თითო კავი | 1 „ | |
| შტიფტის კბილები ოქროზე | 3 „ | |
| კორონკა ლოგანისა | 4 „ | |
| კორონკა ოქროსი ან პლატინისა პირობისამებრ | | |
| ამოღება კბილისა უტკივილო ანესტეზიით | 1 „ | |
| საზოგადო ანესტეზიით—პირობისამებრ | | |
| აპარატი კბილების გასასწორებლად | | |
| ობტურატორი მაგარ ან რბილ სასის შესავსებად—პირობისამებრ. | | |
| და სხვა ოპერაციები—პირობისამებრ. | | |

(100—ბუხ.—26)

**მხოლოდ** იმის წყალობით, რომ 25 წლის პრაქტიკა მქონდა და თვალყურს ვადევნებდი, უმაღლესს კულტურამდე განვავითარე **კეფირი**. ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, რომ

## კეფირი ო. კორონისა

კონკურენციის გარეშეა. კარგის თვისებისთვის იგი მოწონებულია ტფილისის სამკურნალო განყოფილებისაგან და დაჯილდოვებული სამის მედალით სამს გამოფენაზე. მიღებული აქვს აგრეთვე მრავალი მადლობა მომხმარებელთაგან. **კეფირი** ჩემის სახელოსნოსი უმატებს სიმსუქნეს და გამოლეულ ძალას, აგრეთვე მკურნალობს: სისხლნაკლებობის, კუჭის კატარის, სიყვითლის, სურავანდის და ჭლექის დროს. ამშვიდებს ნერვებსაც.

ჩემ დაწესებულებაში შეიძლება მსურველმა მიიღოს

ლაქტობაცილინის რძე,

მომზადებული პროფ. მეჩნიკოვის საშუალებით.

5 აპრილიდან მზადდება

**კ უ მ ი ს ი**

მსურველთ შეიძლება სახლში გაეგზავნოთ. ადრესი: ლორის-მელიქოვის ქ., სემინარიის პირდაპირ.

(50—ხალ.—51) პატივ. **ო. კორონა.**

„წერა-კითხვის საზოგადოების" მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

1. **«ამბოხება კახეთისა»**, 1812 წ. ისტორიული ამბავი ა. ფრონელისა . . 1 მ.
2. **«საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია»**, ი. ჯავახიშვილისა . 15 კ.
3. **«ქართლის ცხოვრება»**, მარიამ დედოფლის ვარიანტი . . . . . . . 3 მ.
4. **«საბერძნეთის ძველი ისტორია»**. ნორმან სა, თარგ. ვლ. ლორთქიფანიძისა 1 მ.
5. **«რომაელების ძველი ისტორია»**, თარგმანი ვ. ლორთქიფანიძისა . . . 1 მ.
6. **«ფიზიკური გეოგრაფია»**, ს. იაშვილისა . . . . . . . . . . . . 20 კ.
7. **«მასალების საქართველოს ისტორიისათვის»**, . . . . . . . . . . . 1 მ.
8. **«საქართველოს ისტორია»**, მ. ჯანაშვილისა . . . . . . . . . . . 1 მ.
9. **«მთიულეთი»**, (ამბოხება 1814 წ.), ა. ფრონელისა. . . . . . . . . 40 კ.
10. **«ცისარტყელა»**, სამხატვრო-სალიტერატურო კრებული (მრავალის სურათით). . . . . . . . . 15 კ.
11. «Очерки грузинской словесности», IV, ა. ხახანაშვილისა . . . 3 მ. 50 კ.
12. Судьбы грузинской церкви», გაზეთ «რუსკი სტიაგის» გამოც მა . . . 25 კ.
13. «Государственный строй древней Грузіи и древней Арменій», ი. ჯავახიშვილისა . . . . . . . 1 მ. 35 კ.

(—11)